ახალი ამბები
უნივერსიტეტი

24 ნოემბერი, 2022 ხუთშაბათი, №2 (2241)

თსუ-ს რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნები გამოცხადდა

15 ნოემბერს თსუ-ს აკადემიური საბჭოს სხდომა გაიმართა. საბჭომ დაადგინა (დადგენილების №102.2022), რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადდეს არჩევნები, დაიწყოს კანდიდატთა რეგისტრაცია და დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის შესახებ“ განცხადების ტექსტი.

რექტორის არჩევის დღედ 2022 წლის 27 დეკემბერი განისაზღვრა.

განცხადება

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის შესახებ

1. გამოცხადდეს არჩევნები და დაიწყოს კანდიდატთა რეგისტრაცია სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად.

2. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

3. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდეს 2022 წლის 15 ნოემბერს.

4. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022 წლის 16 დეკემბრის 10:00 საათიდან, მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, ოთახი №114. სარეგისტრაციო განაცხადის გამოგზავნა ასევე შესაძლებელია ელექტრონულ მისამართზე: chancellery@tsu.ge.

5. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს 2022 წლის 21 დეკემბრის 18:00 საათი.

6. აკადემიური საბჭოს მიერ შემოსული განცხადებების განხილვის ვადად განისაზღვროს 2022 წლის 26-27 დეკემბერი, ხოლო რექტორის არჩევის დღედ 2022 წლის 27 დეკემბერი.

7. აკადემიური საბჭო მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ 2022 წლის 26-27 დეკემბრის პერიოდის ფარგლებში საზღვრავს კანდიტატებთან გასამართი გასაუბრების დროსა და განრიგს, რის თაობაზეც აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება გამოქვეყნდება საჯაროდ, ხოლო აღნიშნულის თაობაზე კანდიდატებს დამატებით ეცნობებათ წინასწარ.

8. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს:

ა) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ქონის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო გეგმა და კონცეფცია;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დ) ავტობიოგრაფია (CV);

ე) 2 ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3/4–ზე;

ვ) ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ;

ზ) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.

ნომერში

- ახალი სტუდენტური საერთო საცხოვრებლის თემასთან დაკავშირებით ორი კომისია იმუშავებს — გვ. 2
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმატებული პირველსემესტრელები დააჯილდოვა — გვ. 2
- ეკონომისტების საიუბილეო კონფერენცია და ყურადსაღები რეკომენდაციები მთავრობისთვის — გვ. 3
- თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი სტუდენტთა შიდა და გარე მობილობას გამოაცხადებს — გვ. 5
- DRG _ ქართული ჯანდაცვის სისტემაში - შეფასებები დანერგვა-აღსრულება-კონტროლის ჭრილში — გვ. 6
- კავკასიოლოგთა I საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი — გვ. 11
- იქმნება ერთიანი საინფორმაციო გაზა სამცხის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ — გვ. 13
- ახალი სახელმძღვანელო პაროდონტოლოგიაში — გვ. 14





თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმატებული პირველსემესტრელები დაჯილდოვა

თამარ დადიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სტუდენტთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, წარმატებულ სტუდენტთა დაჯილდოების ღონისძიება გაიმართა.

თსუ-ს შვიდივე ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურის პირველი კურსის ორ-ორ ყველაზე წარმატებულ სტუდენტს: ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს: **თამარ ახალკაცსა** და **ლორენა ალასანიას,** თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს: **ნინო გორგილაძეს** და **ნატალი მესაბლიშვილს,** თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს: **მარიამ გვიმრაძეს** და **ნინო მაღრაძეს,** თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებს **თინათინ თუთბერიძეს** და **ლუკა გულაშვილს,** თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს **ლაშა თოთლაძეს** და **კონსტანტინე ფირცხალაიშვილს,** თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს **ვანო სესიტაშვილს** და **საბა სამუშიას,** თსუ ერთასფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის – „მედიცინა“ – სტუდენტებს **ლუკა გოგინავასა** და **მარიამ ქამხაძეს** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან სპეციალური საჩუქრები – სიგელები და პლანშეტები გადაეცათ.

დაჯილდოების ღონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **მიხეილ ჩხენკელი,** თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **ჯაბა სამუშია,** ფაკულტეტების დეკანები, პრო-

ფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ჯაბა სამუშიამ სტუდენტებს მადლობა გადაუხადა მიღწეული წარმატებებისთვის და იმედი გამოთქვა, რომ ისინი ქვეყნის პროგრესულ მომავალს უზრუნველყოფენ. მან თსუ-ის სამომავლო

> არაერთი მნიშვნელოვანი გეგმა გვაქვს დასახული, მათ შორის ყველა იმ პრობლემის მოკლე დროში მოგვარება, რაც ჩვენს სტუდენტებს აწუხებთ

გეგმების შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა რომ: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეფუძნება ორ მნიშვნელოვან რამეს – ეს არის პროფესურა, მათი პროფესიონალიზმი და სტუდენტობა, რომელმაც ქვეყნის მომავალი უნდა ააშენოს. ამიტომაც ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ თითოეულ მათგანს მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი და შევუქმნათ ის პირობები, რაც თანამედროვე უნივერსიტეტს შეშვენის. მინდა სიხარულით გაცნობოთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დიდი რაოდენობით კომპიუტერული ტექნიკა გადაეცემა, აუდიტორიები შესაბამისი აპარატურით აღიჭურვება, ტექნიკური ბაზა კი გაუმჯობესდება. ამ ტექნიკის საშუალებით გაუმჯობესდება სწავლების ხარისხი და გვექნება თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტებით აღჭურვილი საუნივერსიტეტო სივრცე.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერისთვის. არაერთი მნიშვნელოვანი გეგმა გვაქვს დასახული, მათ შორის ყველა იმ პრობლემის მოკლე დროში მოგვარება, რაც ჩვენს სტუდენტებს აწუხებთ. უკვე მქონდა შეხვედრა სტუდენტებთან, მათგან ბევრი საინტერესო იდეა მოვისმინე და დავპირდი, რომ ვიქნები ყოველთვის გულწრფელი, სხვადასხვა საკითხის მოგვარებას სტუდენტების ინტერესებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე უზრუნველვყოფთ“, — განაცხადა თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ჯაბა სამუშიამ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **მიხეილ ჩხენკელმა** წარჩინებულ სტუდენტებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა: „ამ დღეს, ზოგადად, აღვნიშნავთ სტუდენტობის მნიშვნელობას ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის. მოხარული ვარ, რომ ასეთი ნიჭიერი, მიზანდასახული და შრომისმოყვარე ახალგაზრდები ხართ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სამშობლოს მომავალი საიმედო ხელშია. თქვენ უნდა განსაზღვროთ ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე! დღეს, ამ ისტორიულ აუდიტორიაში, იმყოფებით სტუდენტები, რომლებმაც თქვენი შრომით დაამტკიცეთ, რომ ნამდვილად კარგად გაქვთ გაცნობიერებული, რას ნიშნავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა, რაც, მართლაც, უდიდესი პატივი და, ამავდროულად, დიდი პასუხისმგებლობაა“, — განაცხადა **მიხეილ ჩხენკელმა.**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმატებული სტუდენტის, **თამარ ახალკაცის** თქმით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიგელით დაჯილდოება მისთვის დიდი სტიმული და მოტივაციაა: „პირველ რიგში დიდი მადლობა მინდა გადავუხადო უნივერსიტეტს ასეთი საჩუქრისთვის. მსგავსი ღონისძიებების ჩატარება სტუდენტებს გვაძლევს მოტივაციას, რომ მეტი მონდომებითა და ენერგიით მოვეკიდოთ სწავლასა და განათლებას“, – აღნიშნა მან.

„მნიშვნელოვანია მსგავსი ღონისძიებებით სტუდენტების მხარდაჭერა, მათი შრომისა და მონდომების დაფასება, რაც დიდი სტიმულია, კიდევ უფრო მეტად მოვინდომოთ და ვისწავლოთ! მზად ვართ, მაქსიმალური ძალისხმევა ჩავდოთ სწავლაში“, – განაცხადა თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა **ლაშა თოთლაძემ.**

„დარწმუნებული ვარ, რომ თსუ-ში ჩაბარება კარგი გადაწყვეტილებაა. თანდათან ვრწმუნდები – სწორი არჩევანი გავაკეთე. დღეს ამაყი ვარ, რომ უნივერსიტეტმა სიმბოლური საჩუქრები გადმოგვცა, რაც ჩემთვის სიურპრიზი იყო. მიხარია, რომ უნივერსიტეტი ასეთ მოტივაციას გვაძლევს პირველსემესტრელებს“, – აღნიშნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტმა **თინათინ თუთბერიძემ.**

ინფორმაციისთვის: სტუდენტთა საერთაშორისო დღე 1941 წლის 17 ნოემბერს ლონდონში, ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლ სტუდენტთა საერთაშორისო კონგრესზე ჩეხ პატრიოტ სტუდენტთა ხსოვნის ნიშნად დაწესდა და 1946 წლიდან აღინიშნება.

ახალი სტუდენტური საერთო საცხოვრებლის თემასთან დაკავშირებით ორი კომისია იმუშავებს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ლაშა საღინაძის თქმით, სამუშაო ჯგუფის ფორმატში შეიქმნა ორი კომისია, რომელიც ახალი სტუდენტური საერთო საცხოვრებლის თემასთან დაკავშირებით იმუშავებს. ერთი კომისია საცხოვრებლის ადგილმდებარეობის განსაზღვრის საკითხებზე იქნება ორიენტირებული, ხოლო მეორე კომისია დაფინანსების თემაზე იმუშავებს. ამ კომისიებში შევლენ როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ისე სტუდენტები, პროფესორები და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები. კომისიების მუშაობას ხელმძღვანელობს თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე გიორგი შამათავა.

თსუ – საგამოცდო ცენტრის რეაბილიტაციის გეგმა შეიქმნება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა **ჯაბა სამუშიამ** კანცლერთან, **ლაშა საღინაძესთან** ერთად, თსუ ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობაში განთავსებული საგამოცდო სივრცე დაათვალიერა.

თსუ საგამოცდო სივრცეში ძლიერი ქარის შედეგად ჩამოვარდნილი პლასტმასის მსუბუქი კონსტრუქციის დაკიდული ჭერის ნაწილი მთლიანად აღდგენილია, საგამოცდო პროცესი სრული დატვირთვით, მშვიდ გარემოში მიმდინარეობს.

საგამოცდო ცენტრის დათვალიერების შემდეგ გადაწყდა, რომ შეიქმნება მთელი შენობის რეაბილიტაციის გეგმა, რათა თანამედროვე ტიპის საგამოცდო ცენტრის შესაქმნელად მოეწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲜᲘᲜᲝ ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐ

ეკონომისტები მსჯელობენ იმაზე თუ, როგორი უნდა იყოს მომავალი გლობალიზაცია. გაჩნდა ასეთი პირობითი ტერმინი — თურმე ეს უნდა იყოს უკეთესი გლობალიზაცია, უკეთესი, ვიდრე იყო ჰიპერ გლობალიზაცია, უკეთესი, ვიდრე იყო ტურბულენტური გლობალიზაცია და უკეთესი, ვიდრე არის კონფრონტაციული გლობალიზაცია... მაგრამ, რა არის ეს უკეთესი? — ამაზე არაფერი თქმულა და აი, სწორედ ჩემს დღევანდელ მოხსენებაში (გლობალიზაციის ფუნქციონალური ტიპების შესახებ) გავაკეთე აქცენტი იმაზე, რომ მომავალი გლობალიზაცია იქნება ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალიზაცია, სადაც წინა პლანზე წამოვა ენერგეტიკული, სასურსათო უსაფრთხოება, ანუ უსაფრთხოების თემები დაიკავებს მნიშვნელოვან როლს გლობალიზაციის პროცესში“, — ასეთი ჰიპოთეზის შემცველი მოხსენებით წარსდგა აკადემიკოსი, პროფესორი ლადო პაპავა VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა. კონფერენცია თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს 100 წლისთავი მიულოცა საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა. „თანამედროვე ეპოქაში უნივერსიტეტები, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების გზით, განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ინოვაციური ეკოსისტემის ფორმირებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს საქართველოს ეკონომიკურ ზრდას. სწორედ აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს, სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერასთან ერთად, ხარისხიან უმაღლეს განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა წარმოადგენს“, — განაცხადა მიხეილ ჩხენკელმა.

თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა და აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ ძალიან მნიშვნელოვან მოვლენად შეაფასა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც ეკონომისტმა პროფესორებმა აქტუალური საკითხები წარმოადგინეს. „ვფიქრობთ, რომ ასეთი საკითხები დღევანდელი საქართველოსთვის ძალიან საინტერესოა. ოთხმოცამდე მოხსენება, რომლებიც წარმოდგენილია დღეს კონფერენციაზე, ნათლად მეტყველებს, რომ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესურა აქტიურად ცდილობს შეისწავლოს ის სირთულეები, რაც საქართველოს ეკონომიკის წინაშეა, ის საერთაშორისო გამოწვევები, რაც ქართული ეკონომიკის წინაშე დგას“, — აღნიშნა ჯაბა სამუშიამ.

კონფერენციაზე წარმოდგენილი ქართველი და უცხოელი პროფესორ-მასწავლებლებისა და დოქტორანტების ნაშრომები ცალკეული მკვლევრის არა მხოლოდ თეორიული ინტერესის სფეროს, არამედ პრობლემების გადაჭრის პრაქტიკული ასპექტების ანალიზს წარმოადგენს.

„წელს ჩვენს ტრადიციულ ღონისძიებაზე გაკეთდა ზუსტად ის აქცენტები, რაც არის მსოფლიო ეკონომიკაში ყველაზე მნიშვნელოვანი. პირველი, ეს არის — როგორი იქნება მსოფლიო ეკონომიკა გლობალიზაციის ახალ ეტაპზე? მეორე — როგორი არის რეგიონალური კონტექსტი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებისა ჩვენთვის, ანუ რა სიახლეებია მოსალოდნელი მსოფლიო ეკონომიკაში და ჩვენ როგორ უნდა მოვემზადოთ შესაბამისად, რათა ამ სიახლეებს შევხვდეთ. მოხსენებების აბსოლუტური უმრავლესობა ამ საკითხებზეა ორიენტირებული. მასალები ატვირთული იქნება ელექტრონულად, მასზე წვდომა არის თავისუფალი და, როგორც წესი, ეს მასალები ასევე მიეწოდება საქართველოს მთავრობას“, — განაცხადა

თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა გიორგი ღაღანიძემ.

კონფერენციაზე წარმოდგენილი თემატიკა, მართლაც, შთამბეჭდავი გახლდათ. პლენარული სხდომის შემდეგ, სექციური მუშაობის ფორმატში, ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შემდეგი მოხსენებები იქნა განხილული: იური ანანიაშვილი — საქართველოს შრომის ბაზრის წონასწორობის შეფასების ეკონომეტრიკული მოდელი; ნინო მიქიაშვილი — სიღარიბე, როგორც სოციალური პრობლემა და მისი შეფასების სირთულეები; რევაზ გველესიანი და ირინა გოგორიშვილი — ევროკავშირის ინდუსტრიული პოლიტიკის განვითარების მიმართულებები და თანამედროვე გამოწვევები; გულნაზ ერქომაიშვილი — პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში. ლალი ხურცია და ვანო ცერცვაძე — თამბაქოს პოლიტიკისა და კონტროლის ფინანსური საკითხები; ელგუჯა მექვაბიშვილი — ეკონომიკის ფინანსებიზაცია: ბოროტება თუ სიკეთე? მიხეილ ჯიბუტი — ბიზნესის მასობრივი კრიმინალიზაციის ნიშნები საქართველოში; გივი ბედიანაშვილი — კულტურული ფაქტორის გავლენა ეკონომიკურ ზრდასა და სამეწარმეო საქმიანობაზე: თანამედროვე გლობალიზაციის გამოწვევები; ნაზირა კაკულია და თეა ლაზარაშვილი — რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე; მანანა ლობჟანიძე — უმუშევრობა ახალგაზრდებში და პროფესიული ორიენტაციის მნიშვნელობა; მურმან ცარციძე — მინიმალური ხელფასი საქართველოში; სალომე თვალოძე — კლიმატის ცვლილება, როგორც მონეტარული პოლიტიკის ახალი გამოწვევა და სხვ.

> ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲡ, ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠᲘ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ“, — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲩᲮᲔᲜᲙᲔᲚᲛᲐ.

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲮᲚᲐᲓᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ

24 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში, ფაკულტეტებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის წარმომადგენელთა ვაკანსიების შევსების მიზნით, აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნები გაიმართა.

აკადემიური საბჭოს ახლადარჩეული წევრები არიან: იურიდიული ფაკულტეტიდან — ვასილ გონაშვილი (4 წლის ვადით); ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან — ომარ ფურთუხია (3 წლის ვადით) და ცისანა გავაშელი (4 წლის ვადით); ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტიდან — ზაქარია ქიტიაშვილი (4 წლის ვადით); ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან — თემურ შენგელია (4 წლის ვადით); სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან — მარი წერეთელი (4 წლის ვადით); ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან — მიხეილ ბახტაძე (4 წლის ვადით) და რამაზ ქურდაძე (4 წლის ვადით); მედიცინის ფაკულტეტიდან — ალექსანდრე ცისკარიძე (4 წლის ვადით) და ნინო შარაშიძე (4 წლის ვადით), ალ. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტიდან — ნინო სადრაძე (2024 წლის 2 ივლისამდე).

აკადემიური საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 805-მა ამომრჩეველმა ყველა ფაკულტეტიდან.

არჩევნების შედეგები მოგვაწოდა თსუ-ს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ვასილ ბარამიძემ.

„არჩევნებზე მაღალი აქტივობა დაფიქსირდა. არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. ამ ეტაპზე საჩივარი არ არის შემოსული. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს დამკვირვებლების სახით წარმომადგენლები ჰყავდათ ადგილზე და არანაირ ექსცესს ადგილი არ ჰქონია“, — განაცხადა ვასილ ბარამიძემ.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

„ქართულის 10 წელი ლეიდენის უნივერსიტეტში: რამაზ ქურდაძე ბრუნდება“ — ასე მიესალმება ლეიდენის (ნიდერლანდები) უნივერსიტეტი ქართველოლოგიური ცენტრის დამფუძნებელი თსუ-ს პროფესორის 10 წლის შემდეგ დაბრუნებას.

ნიდერლანდებში, ლეიდენის უნივერსიტეტში გახსნილი ქართველოლოგიური ცენტრი ერთ-ერთია იმ ცენტრთაგან, რომელიც ევროპულ უნივერსიტეტებში არსებობს. „ამ წელს 10 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ლეიდენის უნივერსიტეტში პირველად დაიწყო ქართული ენის სწავლება. უფრო ამაღელვებელი ის არის, რომ ამ კურსის პირველი ხელმძღვანელი, პროფესორი რამაზ ქურდაძე ბრუნდება იმისათვის, რომ ამ წლის განმავლობაში დაინტერესებულ სტუდენტებს ენა ასწავლოს.

ამ წლის განმავლობაში თსუ-ს პროფესორი რამაზ ქურდაძე ორ კურსს წაუკითხავს სტუდენტებს: ქართული ენა დამწყებთათვის, რომელიც გათვალისწინებულია ნებისმიერი სპეციალობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის. მათთვის, ვინც დაინტერესებულია უძველესი დამწერლობით და თექვსმეტსაუკუნოვანი სალიტერატურო ენით; მეორე კურსი — ქართული ზმნის გრამატიკა, ლინგვისტიკის სპეციალობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვისაა გათვალისწიებული. თუმცა, ამ კურსით, შესაძლოა, ასევე დაინტერესდეს ნებისმიერი, ვისაც სურს, კარგად გაეცნოს ქართული ზმნის გრამატიკულ კატეგორიებს. ქურდაძეს იმედი აქვს, რომ სტუდენტებს ქართული ენის განსაკუთრებულობით დაინტერესებს და მოხარულია, რომ ძალიან ბევრ ნიჭიერ სტუდენტს შეხვდება“, — ნათქვამია ლეიდენის უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში.

ᲒᲒ. 4

^ მე-3 გვ-დან

„ეძღვნება ჩემს მასწავლებლებს, რომლებმაც გამიკვალეს გზა და სტუდენტებს — რომლებმაც გააგრძელეს ეს გზა“, — ასე იწყება წიგნი — „იოანე პეტრიწის ენა და სტილი — იოანე პეტრიწი და ქართული სამეცნიერო-მწიგნობრული ენის განვითარების გზები“, რომლის პრეზენტაცია 26 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დამანა მელიქიშვილის ეს ნაშრომი თავდაპირველად 1975 წელს გამოვიდა, წელს კი მისი განახლებული ვერსია გამოიცა.

წიგნი — „იოანე პეტრიწის ენა და სტილი — იოანე პეტრიწი და ქართული სამეცნიერო-მწიგნობრული ენის განვითარების გზები“ გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წიგნი შეეხება XII საუკუნის ფილოსოფოსის, ცნობილი მთარგმნელისა და მწერლის იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ-თეოლოგიური თხზულებების ენასა და სტილს, ასევე, ინტელექტუალურ-ენობრივ კონტექსტს, რომელშიც ეს თხზულებები შეიქმნა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებით დაინტერესებულმა სტუდენტებმა შესაბამისი განათლება მიიღონ. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსში, საქართველოში ჩინეთის და იაპონიის საელჩოების ფინანსური მხარდაჭერით, გახსნილია ჩინური და იაპონური კაბინეტები, რომლებიც უახლესი თანამედროვე ტექნიკით, სათანადო სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურით, პერიოდული გამოცემებით არის აღჭურვილი. სტუდენტებისათვის დიდი სტიმულის მომცემია ის ფაქტიც, რომ ხსენებული საელჩოების მიერ ჩატარებულ ტესტირებებში გამარჯვებული წარჩინებული სტუდენტები ჩინეთის და იაპონიის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში მიემგზავრებიან სწავლის გასაგრძელებლად მიმწვევი მხარის სრული დაფინანსებით — ეს ინფორმაცია კიდევ ერთხელ გახმაურდა 28 — 29 ოქტომბერს თსუ-ში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე — „აღმოსავლეთ აზია ისტორიულ და თანამედროვე კონტექსტში“, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის მიმართულების ორგანიზებით ჩატარდა. სამეცნიერო კონფერენცია მიეძღვნა შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის მიმართულების დაარსების 15 წლისთავს და საქართველოს იაპონიასთან და ჩინეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30 წლის იუბილეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის პროფესორის, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, ბატონ ირაკლი კოვზანაძისა და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის გოგი კონტრიძის წიგნის — „თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა“ პრეზენტაცია გაიმართა 11 ნოემბერს თბილისის სასტუმრო „შერატონ გრანდ მეტეხი პალასში“. პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდა და სახელმძღვანელოს შესახებ ვრცლად ისაუბრა წიგნის რედაქტორმა, პროფესორმა ელგუჯა მექვაბიშვილმა. მისალოცი სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე; ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი; პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ამილახვარი; მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე.

პროფესორმა ირაკლი კოვზანაძემ ისაუბრა წიგნზე მუშაობის პროცესზე და აღნიშნა, რომ სახელმძღვანელოს პირველი — 2014 წლის გამოცემა წარმატებული აღმოჩნდა, ვინაიდან საბანკო საქმე, საბანკო მენეჯმენტი სწორედ ამ წიგნით ისწავლებოდა და დღემდე ისწავლება საქართველოს უმეტეს უმაღლეს სასწავლებლებში. თუმცა, მას შემდეგ: „რვა წელი გავიდა. ბევრი რამ შეიცვალა საბანკო სფეროში, როგორც თეორიაში, ასევე პრაქტიკაში, სწორედ ამ რეალობების გათვალისწინებით წარმოგიდგინეთ წიგნის ახალი, გადამუშავებული გამოცემა“, — განაცხადა პროფესორმა ირაკლი კოვზანაძემ. მისი თქმით, სახელმძღვანელო იძლევა თანამედროვე კომერციული ბანკის ორგანიზების და თანამედროვე საბანკო ოპერაციების განხორციელების საქმეში სრულყოფილი ცოდნის მიღების შესაძლებლობას.

ამ წიგნებმა უნდა შეცვალონ დამოკიდებულებები ქართულ-ოსურ ურთიერთობებში

მაია ტორაძე

ჩვენი საკუთარი კეთილდღეობა ჩვენის მეზობლის კეთილდღეობაზეა დამყარებული; მეზობლის უბედურებაზე ჩვენი ბედნიერება ვერ დაფუძნდება, ვერ აშენდება“ (ივერია 1886 წელი) — ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები უძღვის წინასიტყვაობას, რომელიც ახლად გამოცემულ ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული პოეზიის ანთოლოგიას ერთვის. გამოცემები ქართველ და ოს ხალხთა შორის ნდობის აღდგენას და კონფლიქტით გამიჯნული საზოგადოების დაახლოებას ისახავს მიზნად.

2 ნოემბერს საქართველოს მწერალთა სახლში ლიტერატურული პროექტის საჯარო წარდგენა გაიმართა. პროექტს, რომელიც ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჩართულობით ქართველ და ოს ენათმეცნიერთა, მთარგმნელთა და ფილოლოგთა თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა, არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიური მოზაიკა“ ხელმძღვანელობდა. პროექტი განხორციელდა გაერთიანებული სამეფოსა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით.

ქართველმა და ოსმა მკვლევრებმა მკითხველს უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული პროექტი შესთავაზეს — გამოცემათა ნაკრები, რომელშიც თავმოყრილია ქართული და ოსური პოეზიის ანთოლოგიები, ბავშვებისთვის განკუთვნილი ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ილუსტრირებული ლექსიკონები და მეცნიერული მონოგრაფია კავკასიურ ფოლკლორში ქალის როლის შესახებ.

პოეზიის ანთოლოგიებში შესულია ნიკოლოზ ბარათაშვილის, კოსტა ხეთაგუროვისა და სხვა ავტორების ლექსების, კავკასიური ეპოსისა და ულამაზესი ფოლკლორის 380 თარგმანი, ხოლო ილუსტრირებული ლექსიკონები შეიცავს 300-მდე სიტყვას, რომელიც ენის შესწავლის საფუძველს წარმოადგენს.

ღონისძიებაზე შეკრებილ სტუმრებს სიტყვით მიმართა ბრიტანეთის ელჩმა საქართველოში მარკ კლეიტონმა. მან ოსურ-ქართულ და ქართულ-ოსურ თარგმანებს ხალხთა შორის ნდობის აღდგენის კარგი შესაძლებლობა უწოდა: „გაერთიანებული სამეფო სიამაყით უჭერს მხარს კავკასიის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლასა და ახალგაზრდა თაობისთვის გაცნობას, რასაც ქართველი და ოსი მკვლევრები ერთობლივად ახორციელებენ. ჩემთვის ეს პროგრამა განსაკუთრებით სამი მიმართულებითაა მნიშვნელოვანი. ესენია ადამიანებს შორის ნდობის აღდგენა და საგანმანათლებლო და გენდერული კომპონენტები. ვფიქრობ, მნიშვნელოვანი ლიტერატურა მომზადდა. ამ გამოცემებით ქართველ ახალგაზრდებს ექნებათ შესაძლებლობა — გაეცნონ ოს მწერალთა შემოქმედებას საკუთარ ენაზე, ხოლო ოსი ახალგაზრდობა შეიმეცნებს ქართულ მწერლობას და პოეზიას. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ ღონისძიების მნიშვნელობას“, — განაცხადა ბრიტანეთის ელჩმა მარკ კლეიტონმა.

UNDP-ის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში ნიკ ბერესფორდმა თავის გამოსვლაში აღნიშნა ის ფასდაუდებელი სამუშაო, რომელიც, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტს COBERM-ის ფარგლებში, ერთობლივად გასწიეს ბრიტანეთის საელჩომ და გაეროს მუდმივმა წარმომადგენლობამ. „ამ პროექტის ფარგლებში გაკეთდა თარგმანები, ლექსიკონები და დაიდგა თეატრალური წარმოდგენები. მადლობა ქალბატონ ნაირა ბეპიევს და ყველა მკვლევარს, რომლებმაც პროექტის განხორციელებაში მიიღეს მონაწილეობა. განსაკუთრებით გამოვყოფ ახალგაზრდა მკვლევრებს. ენის, ლიტერატურისა და პოეზიის მეშვეობით ჩვენს მდიდარ და მრავალფეროვან მემკვიდრეობას ვეცნობით. UNDP მოხარულია, დიდი ბრიტანეთის მთავრობასთან ერთად მხარი დაუჭიროს მეცნიერთა და მკვლევართა თანამშრომლობას, რომელიც ქართული და ოსური კულტურული საგანძურის შესწავლასა და პოპულარიზაციას ემსახურება. შთამბეჭდავია, რომ შევძელით მნიშვნელოვან ღონისძიებაზე დასწრება, რომელიც მიმართულია ქართველ და ოს ადამიანთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისკენ. ეს არაჩვეულებრივი ნაწარმოებები და საგანძური, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს ჩვენს განსხვავებულობას და მრავალფეროვნებას, ხოლო, მეორე მხრივ, გვაერთიანებს. ეს გამოცემები უნდა წაიკითხონ ახალგაზრდებმა, ამ წიგნებმა უნდა შეცვალონ მათი დამოკიდებულებები“, — აღნიშნა ნიკ ბერესფორდმა.

„კავკასიური მოზაიკის“ წარმომადგენლებმა ნინო პოპიაშვილმა და ნაირა ბეპიევმა ისაუბრეს ქართველ და ოს მეცნიერთა თანამშრომლობის შესახებ.

ნაირა ბეპიევმა მადლობა გადაუხადა ბრიტანეთის საელჩოს და გაეროს მუდმივ წარმომადგენლობას საქართველოში. მანვე აღნიშნა იმ ადამიანების თანადგომა, რომლებმაც ენერგია და ძალისხმევა არ დაიშურეს ქართული და ოსური საგანძურის კვალიფიციური და აკადემიური გამოცემისათვის. „ეს პროექტი არ არის შემთხვევით წამოყენებული იდეის შედეგი. ეს არის ჩვენ მიერ ნაპოვნი ნიშა — რომელსაც ჰქვია „სიტყვის ძალა“ და რომელიც არის კულტურისა და განათლების გზით მშვიდობის მშენებლობის გზა. ჩვენ იმთავითვე დიდი კავშირები დავამყარეთ ოს ინტელიგენციასთან და ეს გამოცემები იმ ადამიანების ღვაწლიცაა, ვინც ახლა აქ არ არიან, მაგრამ იციან პროექტის შესახებ“, — განაცხადა ნაირა ბეპიევმა და დაწვრილებით მიმოიხილა გამოცემების შინაარსი.

აღინიშნა, რომ ქართული პოეზიის ანთოლოგიაში გამოქვეყნებული ხალხური ლექსები პირველად ითარგმნა, ასევე პირველად მიეცა ოს მკითხველს შესაძლებლობა — მშობლიურ ენაზე წაიკითხოს ბორენა დედოფლის „იამბიკო“, რომელიც პირველი რითმიანი ჰაგიოგრაფიული ძეგლია. ამ ანთოლოგიაში ბევრი ისეთი ნაწარმოები შევიდა, რომელთა მშობლიურ ენებზე გაცნობის შესაძლებლობა აქამდე არც ქართველ და არც ოს მკითხველს არ

> ეს არის ჩვენ მიერ ნაპოვნი ნიშა – რომელსაც ჰქვია „სიტყვის ძალა“ და რომელიც არის კულტურისა და განათლების გზით მშვიდობის მშენებლობის გზა.

ჰქონია. „ეს წიგნები — „ქართული პოეზიის ანთოლოგია“ ოსურ ენაზე და „ოსური პოეზიის ანთოლოგია“ ქართულ ენაზე უნდა გახდეს ურთიერთობათა მოწესრიგებაში გონივრული, წრფელი გულით გაკეთებილი საქმის მაგალითი“, — აღნიშნა ნაირა ბეპიევმა.

ღონისძიებაზე მსახიობებმა ლილი ხურითიმ და თინათინ კობალაძემ ქართულ და ოსურ ენებზე წაიკითხეს „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე სტროფი და იამბიკოს რითმით დაწერილი ლექსი, რომლის ავტორად მე-11 საუკუნის საქართველოს დედოფალი, ბაგრატ IV-ის მეუღლე, ოსთა მეფის ასული ბორენა მიიჩნევა.

ინფორმაციისთვის: ქართველი და ოსი მკვლევრების ერთობლივი მუშაობის შედეგად გამოიცა უძველესი კავკასიური მითების „ნართების თქმულებების“ ქართული თარგმანი, გაგრძელდა ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული განმარტებითი ლექსიკონების შედგენა, რომლებიც 22 000-ზე მეტ სიტყვას მოიცავს. ასევე გამოიცა ქართულ-ოსური ურთიერთობის ენციკლოპედია და გაიმართა რამდენიმე თეატრალიზებული წარმოდგენა ქართულ და ოსურ ენებზე.

ᲗᲡᲣ-Ს ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲨᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔ ᲛᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის გამოცხადებას 2023 წლის გაზაფხულის სემესტრისთვის გეგმავს.პროცესი მომავალი წლის იანვარ-თებერვალში განხორციელდება. ფაკულტეტის ადმინისტრაციამ აღნიშნული გადაწყვეტილება აკადემიური და ადმინისტრაციული რესურსის გათვალისწინებით მიიღო.

„მნიშვნელოვანია, რომ იურიდიული ფაკულტეტი დაბრუნდა უკვე განახლებულ მეორე აკადემიურ კორპუსში, რამაც გამოაცოცხლა სტუდენტური და აკადემიური აქტივობები. ამასთან ერთად, ეს შესაძლებლობას აძლევს ფაკულტეტს, მოემსახუროს მეტ სტუდენტს. ამდენად, იურიდიული ფაკულტეტი გეგმავს გარე და შიდა მობილობის განხორციელებას და სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ ინტერესი — მიიღონ ფუნდამენტური იურიდიული განათლება და სწავლა გააგრძელონ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, ექნებათ ამის შესაძლებლობა“, — ამბობს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი თამარ ზარანდია.

იურიდიული ფაკულტეტი სტუდენტებს სთავაზობს სწავლებას — თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ჩართულობით, კვლევას — ფაკულტეტზე არსებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ბაზების გამოყენებით და ინტერნაციონალიზაციას — საერთაშორისო უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან პარტნიორობის ფარგლებში.

„რაც შეეხება იურიდიული ფაკულტეტის მიმდინარე საუნივერსიტეტო ცხოვრებას, ფაკულტეტმა მიმდინრე სემესტრში უკვე უმასპინძლა პოლონელ და ყაზახ კოლეგებს კონფერენციისა და სამუშაო შეხვედრების ფორმატში. ფაკულტეტს მუდმივად სტუმრობენ უცხოელი პროფესორები, რომლებიც უშუალოდ ჩართულნი არიან ჩვენი პროგრამების განხორციელებაში. მიმდინარე სემესტრში იურიდიული ფაკულტეტის უცხოენოვანი პროგრამის ფარგლებში ფაკულტეტზე სალექციო კურსები უკვე ჩაატარეს პროფესორებმა: გერჰარდ ფუკნერმა (შპაიერის პროგრამა), დავიდ მარკვორთმა (კიოლნის პროგრამა), კრისტიან ფონ კიოლნმა (კიოლნის პროგრამა) და ბერნჰარდ კემპენმა (კიოლნის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი). კიოლნის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დაიგეგმა პროგრამის 15 წლის იუბილე, რომელიც 2023 წლის მარტში აღინიშნება გერმანელი და ქართველი პროფესორების და ყველა კურსდამთავრებულის მონაწილეობით.

მიმდინარე სემესტრის განმავლობაში დაგეგმილია გერმანელი პროფესორების სხვა ვიზიტებიც, შპაიერის საჯარო მმართველობის პროგრამის ფარგლებში ფაკულტეტი უმასპინძლებს პროფესორებს: ფრიედერიკე თესელს, ანდრეას კნორრს, შტეფან ოკრუხსა და რაჰელ შომაკერს. კიოლნის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ფაკულტეტს ესტუმრებიან პროფესორები მარტინ ვასმერი, იზაბელე ვაგნერი და კრისტიან დეკენბროკი. ამასთანავე, დეკემბრის თვეში დაგეგმილია შპაიერის პროგრამის სტუდენტთა სამეცნიერო ჟურნალის დაფუძნების ღონისძიება და კურსდამთავრებულთა საზეიმო ცერემონიალი.

ამასთან, მიმდინარე სემესტრში დაგეგმილია რამდენიმე გამოცემისა და ჟურნალის პრეზენტაციაც: ქართველი მეცნიერის, პროფესორ გიორგი ნადარეიშვილის დაბადებიდან 95 წლისთავთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის 8 ნოემბერს შედგა ბატონი გიორგის მიერ ჯერ კიდევ 1959 წელს გამოცემული ნაშრომის „ქართული სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი XI-XII სს. საქართველოში“ (წიგნი ამჟამად უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს), ახალი ქართულ-ინგლისურენოვანი საიუბილეო გამოცემის წარდგენა.

10 ნოემბერს თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტისა და თსუ იურიდიული ფაკულტეტის კრიმინოლოგიის ინსტიტუტის ინიცირებით გაიმართა პროფესორ გიორგი თოდრიას წიგნის პრეზენტაცია — „კრიმინოლოგიური შემეცნების პრობლემები“, ხოლო 11 ნოემბერს შედგა თსუ იურიდიული ფაკულტეტის ჟურნალ — „კერძო სამართლის მიმოხილვის“ პრეზენტაცია. ფაკულტეტი გეგმავს კიდევ არაერთ საინტერესო აქტივობას, რის თაობაზეც საზოგადოების ინფორმირებას მოვახდენთ.

იურიდიულმა ფაკულტეტმა ევროპის საბჭოს ოფისთან თანამშრომლობით დაიწყო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს იურიდიულ ფაკულტეტზე ადამიანის უფლებათა სწავლების გაძლიერებას. მიმდინარე წლის 10 ნოემბერს გაიმართა შეხვედრა ევროპის საბჭოს ექსპერტთან, გლაზგოს პროფესორ ჯიმ მერდოკთან, რომელზეც განხილულ იქნა თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის და საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ადამიანის უფლებათა სწავლების თვალსაზრისით, გაიმართა დისკუსია და გაიცა რეკომენდაციები პროგრამების გასაუმჯობესებლად. ეს ამ პროცესის მხოლოდ დასაწყისია და ფაკულტეტი აგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას“, — აცხადებს თამარ ზარანდია.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲔᲠᲗᲝᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲨᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔ ᲛᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ

ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში გარე და შიდა მობილობა წელიწადში ორჯერ ხორციელდება. როგორც წესი, მობილობაში მონაწილე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კონკრეტული პროგრამების ჩართულობა მათი აკადემიური და ადმინისტრაციული რესურსის გათვალისწინებით ისაზღვრება.

გარე მობილობაში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტებმა რეგისტრაცია — https://students.emis.ge/ — პორტალზე უნდა გაიარონ, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში პროცესი წარიმართება https://lms.tsu.ge/ -ს პლატფორმის მეშვეობით.

„მობილობის პროცესში მნიშვნელოვანია სტუდენტმა ზუსტად იცოდეს, როგორ გაიაროს მობილობის პროცესი და რა არის ამ პროცესის წარმატებით დასრულებისთვის აუცილებელი. პირველ ეტაპზე ხაზგასასმელია, რომ გარე მობილობის ვადები ისაზღვრება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტით, შიდა მობილობის — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის შესაბამისი ბრძანებით. შედეგად დგინდება მობილობის ადმინისტრირების ვადები, თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობისთვის გამოყოფილი ვაკანტური ადგილების რაოდენობა, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელშეკრულების გაფორმების ვადები და ა.შ. თუმცა, სტუდენტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ მობილობის პროცესში ყურადღება გაამახვილოს შემდეგ გარემოებებზე:

- **შიდა და გარე მობილობაში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია/ავტორიზაცია გაიაროს შესაბამის ელექტრონულ პორტალებზე (სტუდენტთა პორტალზე რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში):**
- **პრიორიტეტების მიხედვით შეარჩიოს სასურველი საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები (არაუმეტეს 5);**
- **სასურველი პროგრამის შერჩევის შედეგად სტუდენტი ერთვება მობილობის პროცესში და შეუძლია მობილობის მიმდინარეობისას თვალ-ყური ადევნოს თუ რამდენი კონკურსანტია პროგრამაზე რეგისტრირებული და კონკრეტულ ეტაპზე რამდენად საკმარისია მისი საკონკურსო ქულა სასურველ საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვის უფლების მოპოვებისთვის;**
- **მობილობის საკონკურსო ქულა — ეს არის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულა;**
- **თუ პირველ პრიორიტეტად შერჩეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასასვლელად სტუდენტის ქულა არ არის საკმარისი, ავტომატურად განიხილება მომდევნო პროგრამები სტუდენტის მიერ შერჩეული პრიორიტეტების მიხედვით.**

მობილობის პროცესის წარმატებით დასრულებისთვის მნიშვნელოვანია რამდენიმე გარემოება:

- **მობილობის უფლების მოპოვების შემდეგ აუცილებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენა და შესაბამის უნივერსიტეტთან (შიდა მობილობის შემთხვევაში — შესაბამის ფაკულტეტზე) ხელშეკრულების გაფორმება.**
- **ხელშეკრულების გაფორმების გარეშე მობილობის პროცესი დასრულებულად არ ითვლება.**
- **იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი გადაიფიქრებს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლას და არ გააფორმებს ხელშეკრულებას, ის ავტომატურად განაგრძობს სწავლას იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და საგანმანათლებლო პროგრამაზე, სადაც მანამდე სწავლობდა“, — განმარტავს თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსი შოთა ფოთოლაშვილი.**

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲒᲠᲐᲜᲢᲘ, ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐ

თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის ინფორმაციით, სტუდენტებმა უნდა გაითვალისწინონ რამდენიმე გარემოება, მათ შორის სახელმწიფო სასწავლო გრანტის შენარჩუნების, აკადემიური სემესტრის შესაძლო შეცვლის ფაქტორები და პირობა — „სტუდენტები, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ 2020 და შემდგომი წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, მობილობის განაცხადის გაკეთებას შეძლებენ მხოლოდ იმ პროგრამებზე, რომლებიც მათ მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებულ სავალდებულო საგნებს შეესაბამება“. ამ უკანასკნელს მობილობის პორტალი აკონტროლებს ავტომატურად.

„მნიშვნელოვანია სტუდენტებმა იცოდნენ, რომ მათ მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტით სარგებლობა შეუძლიათ 8 სემესტრის მანძილზე (საუბარია ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე). მობილობის შემთხვევაში, შესაძლოა შეიცვალოს მათი კრედიტების ოდენობა და მიმდინარე სემესტრი. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად თავსებადია მობილობის პროცესში შერჩეული საგანმანათლებლო პროგრამა ამჟამინდელ საგანმანათლებლო პროგრამასთან. კიდევ ერთხელ ხაზგასასმელია, რომ შესაბამისი აკადემიური ფაქტორების გათვალისწინებით სემესტრის ცვლილება არ მოქმედებს ზემოთ ნახსენებ სახელმწიფო სასწავლო გრანტით სარგებლობის ვადაზე. აღიარებული კრედიტების შესახებ ინფორმაცია სტუდენტს გაეცნობა მობილობის უფლებ-

ბის მოპოვების შემდგომ, თუმცა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე. იმ სტუდენტებმა, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, უნდა გაითვალისწინონ, რომ აღნიშნული დაფინანსება საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში ავტომატურად არ გადაყვება. დავაზუსტებ, რადგან ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულია კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამა და არა — კონკრეტული სტუდენტი“, — განმარტავს შოთა ფოთოლაშვილი.

შიდა მობილობაში მონაწილეობის მიღების უფლება სტუდენტს — 1 სემესტრის, გარე მობილობაში კი 1 წლის სწავლის შემდეგ ეძლევა. თუ სტუდენტს სტატუსი შეჩერებული აქვს, მაგრამ ზემოთ ხსენებულ პირობებს აკმაყოფილებს, შეჩერებული სტატუსი დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენს. შემაფერხებელ ფაქტორს არ წარმოადგენს არც ის სასწავლო კურსები, რომელშიც სტუდენტმა სწავლის პერიოდში კრედიტი ვერ მოიპოვა.

გარე მობილობაში მონაწილეობის საფასური 40 ლარს შეადგენს, ხოლო შიდა მობილობა უფასოა.

DRG – ქართული ჯანდაცვის სისტემაში – შეფასებები დანერგვა-აღსრულება-კონტროლის ჭრილში

ნატო ობოლაძე

1 ნოემბრიდან საქართველოში DRG — სამედიცინო მომსახურების დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით დაფინანსების ახალი მოდელი ამოქმედდა. ეს ნიშნავს, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულ ყველა კლინიკაში ერთსა და იმავე მომსახურებას ერთი ტარიფი ექნება. პაციენტები მხოლოდ იმ თანხას გადაიხდიან, რასაც ითვალისწინებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის პაკეტების შესაბამისი თანაგადახდის წილი, რომელიც ამ დროისთვის საყოველთაო ჯანდაცვის ბენეფიციარების დიფერენცირების მიხედვით 0-დან 30%-მდე მერყეობს.

„ეს მეთოდი მთლიანად აუმჯობესებს ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობას და იძლევა საშუალებას, რომ ის ფინანსური რესურსი, რაც აქვს ჯანდაცვის სისტემას, უფრო მეტად მოხმარდეს პაციენტის საჭიროებებს“, — აცხადებს ჯანდაცვის სამინისტრო.

თუმცა, ამ ეტაპზე, DRG-ის დაფინანსების სისტემა არ ვრცელდება რამდენიმე სამედიცინო მომსახურებაზე, მათ შორის: გეგმური და გადაუდებელი ამბულატორია; ნეონატალური ასაკის (ნეონატალურ ასაკში დაწყებული) ინტენსიური მოვლა/მკურნალობა; გულის თანდაყოლილი მანკების მკურნალობა; მშობიარობა/საკეისრო კვეთა; ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, სხივური თერაპია, მასთან დაკავშირებული გამოკვლევები და მედიკამენტები; კომბუსტიოლოგია; თრომბოლიზი და თრომბოექტომია, ინსულტი.

საქართველოში საყოველთაო ჯანდაცვის სისტემაში ჩართული კლინიკების ქსელი მოიცავს თბილისს, იმერეთს, კახეთს, ქვემო ქართლს, შიდა ქართლს, მცხეთა-მთიანეთს, სამცხე-ჯავახეთს, გურიას, რაჭა-ლეჩხუმს, სამეგრელო-ზემო სვანეთს და აჭარას. კონკრეტული ინფორმაცია, თუ რომელ რეგიონში რომელი სამედიცინო დაწესებულება რა სახის მომსახურებას სთავაზობს საყოველთაო ჯანდაცვის ბენეფიციარებს, მოცემულია ვებ-გვერდზე — https://nha.gov.ge/ge/c/sayovelTao. DRG-ის დაფინანსების სისტემის ამოქმედებასთან დაკავშირებით მონაცემები პერიოდულად ახლდება.

კონკრეტულად რა მექანიზმები განაპირობებს DRG -ის დაფინანსების მოდელის ეფექტიანობას და რა იცვლება საქართველოში მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებისა და პაციენტებისთვის? — ქართული ჯანდაცვის სისტემის სახელმწიფო დაფინანსების რეფორმას საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტები თენგიზ ვერულავა და ნატა ყაზახაშვილი დანერგვა-აღსრულება-კონტროლის ჭრილში აფასებენ.

რა არის DRG — სამედიცინო მომსახურების დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით დაფინანსების მოდელი

DRG-ის დაფინანსების მოდელი 1970-იან წლებში იელის უნივერსიტეტში რობერტ პეტერმა და ჯონ ტომპსონმა შეიმუშავეს. მოდელი ამერიკის შეერთებული შტატების ჯანდაცვის სისტემაში 1980-იანი წლებიდან დაინერგა. 1990-იანი წლებიდან კი DRG-ის დაფინანსების მოდელი ევროპის ქვეყნებში ამოქმედდა. დღეს უკვე DRG-ის მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების საუკეთესო ვერსიად მიიჩნევენ, რადგან სახელმწიფო ფინანსური რესურსების ეფექტიან ხარჯვას და პაციენტის ინტერესებზე მორგებულ სამედიცინო მომსახურებას უზრუნველყოფს.

თენგიზ ვერულავა: „1980-იან წლებამდე მთელ მსოფლიოში საავადმყოფოები ფინანსდებოდნენ ინდივიდუალურად, ფაქტიური, წინასწარ განუსაზღვრელი ხარჯების მიხედვით, რაც კატასტროფულად ზრდიდა ჯანდაცვის ხარჯებს. პრობლემის გადაჭრის მიზნით, 1983 წელს რეიგანის ადმინისტრაციამ შემოიღო იელის უნივერსიტეტის ჯანდაცვის ეკონომისტების მიერ შეთავაზებული დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით საავადმყოფოს დაფინანსების მეთოდი. იელის უნივერსიტეტში გაანალიზებულ იქნა რამდენიმე შტატის 170 საავადმყოფოს 700 000 დაავადების ისტორია. დიაგნოზით მსგავსი დაავადებები (მაგალითად, სასუნთქი სისტემის დაავადებები, ან გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებები) გაერთიანებულ იქნა ერთ ნოზოლოგიურ ჯგუფში. განისაზღვრა თითოეული ჯგუფის აუცილებელი სამკურნალო-დიაგნოსტიკური ღონისძიებების მოცულობა, თანმხლები დაავადებები, ჰოსპიტალიზაციის საშუალო ხანგრძლივობა და ღირებულება. თითოეული დაავადებების (დიაგნოზით მსგავსი) ფაქტიური ხარჯების საფუძველზე დადგინდა თითოეული ნოზოლოგიური ჯგუფის საშუალო ხარჯი. მსგავსი დიაგნოზების ჯგუფებით დაფინანსების მეთოდი ფართოდ დაინერგა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მედიცინაში არსებული ინფორმაციული ასიმეტრიის გამო, პაციენტს ძალიან მცირე ინფორმაცია აქვს სამედიცინო სერვისების შესახებ. ექიმი განსაზღვრავს პაციენტის მკურნალობისათვის საჭირო სერვისებს, რის გამოც იგი შეიძლება დადგეს ნეგატიური ცდუნების წინაშე, კერძოდ, ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, ექიმმა პაციენტს შესაძლოა დაუნიშნოს არაუცილებელი, არასაჭირო და კვლევები. 1980-იან წლებამდე ჯანდაცვის სისტემა უძლებდა ამ ხარჯებს, მაგრამ 1980-1990-იან წლებში, სამედიცინო დიაგნოსტირების ახალი ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ჯანდაცვის ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა. DRG-ის დაფინანსების მოდელის შემუშავების ერთ-ერთი მიზანს შეადგენდა გაზრდილი ხარჯების შეკავება.“

რა იცვლება საქართველოში სამედიცინო დაწესებულებებისა და პაციენტებისთვის

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტების შეფასებით, DRG-ის მოდელის დანერგვა ქართული ჯანდაცვის ორ მთავარ მახასიათებელს გაუმჯობესებს: სამედიცინო მომსახურების ხარისხს და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობას.

ნატა ყაზახაშვილი: „DRG უფრო პროგრესული მოდელია და განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა იყენებს სტაციონარული სამედიცინო მომსახურების დაფინანსებისთვის. საქართველოშიც ამოქმედდა სპეციალური

ნატა ყაზახაშვილი

თსუ-ს საზოგადოებრივ ჯანდაცვის დეპარტამენტის პროფესორი. აკად. გ. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის სამედიცინო კომიტეტის თავმჯდომარე

პროგრამა, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს საკუთრებაა, აიტვირთა ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში არსებული ყველა დიაგნოზი. მოხდა მსუბუქი, საშუალო სიმძიმისა და გართულებული შემთხვევების დიფერენცირება საერთაშორისო დიაგნოზების კლასიფიკატორების მიხედვით, მიენიჭა კოდი — სახელდებები. სამედიცინო დაწესებულების მოვალეობაა პაციენტის ისტორიის ზედმიწევნით ზუსტი რეგისტრირება, რის შემდეგაც პროგრამის ხელოვნური ინტელექტი კლინიკას ავტომატურად მიაწვდის მომსახურების შესაბამის განფასებას. სამედიცინო დაწესებულებებს აღარ ექნებათ მოტივაცია, რომ პაციენტი დიდხანს გააჩერონ სტაციონარში, რადგან მანამდე კლინიკაში (განსაკუთრებით რეანიმაცია/ინტენსიური თერაპიის პალატებში) გატარებული საწოლდღეების მიხედვით ხდებოდა დაფინანსება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც DRG

თენგიზ ვერულავა

მედიცინის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის ფროფესორი, თსუ-ს მოწვეული ლექტორი, სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალის „ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია“ მთავარი რედაქტორი

მოდელი მოაგვარებს, დაავადებების რეგისტრაციაა. სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამა ყველა დაავადების მკურნალობას არ მოიცავს, შესაბამისად, კლინიკა ცდილობდა პაციენტის დაავადება ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებულ მომიჯნავე დაავადებისთვის მიესადაგებინა დაფინანსების მიღების მიზნით. შედეგად, რიგი დაავადებებისა საერთოდ აღარ რეგისტრირდებოდა. შესაბამისად, ქვეყანაში დაავადებების აღრიცხვის ხარისხი გაუმჯობესდება.“

DRG მეთოდით დაფინანსების მექანიზმის დანერგვის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანების მიხედვით, სამედიცინო მომსახურების ფასები უკვე ყოველწლიურ განფასებას ექვემდებარება: „ბრძანებით განსაზღვრული DRG კოდები, საბაზისო ღირებულება, წონა და ფასები ექვემდებარება გადახედვას ბრძანების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 3 თვეში და შემდგომ — ყოველწლიურად“, — აღნიშნულია დოკუმენტში.

თენგიზ ვერულავა: „DRG-ის დანერგვამდე სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებების მიერ გაწეულ მომსახურებას 2010-დან 2012 წლამდე განფასებული ტარიფებით ანაზღაურებდა. არ ხდებოდა ბოლო 10 წლის განმავლობაში მიმდინარე ინფლაციისა და სამედიცინო ბაზარზე მოქმედი იმ ფაქტორების გათვალისწინება, რაც სამედიცინო მომსახურებებზე ფასების ზრდას იწვევს. მართალია, 2012 წელთან შედარებით დღევანდელი სახელმწიფო ხარჯები ჯანდაცვაში ორჯერ და სამჯერაც გაიზარდა — სახელმწიფო წილი ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში 45%-ს შეადგენს, მაგრამ პაციენტებს, მათ შემოსავლებთან მიმართებით, მაინც კატასტროფული ხარჯების გაწევა უნევდათ. DRG-ის დანერგვის შედეგად, სახელმწიფო გადაიხდის იმ თანხას, რაც სჭირდება კონკრეტულ დიაგნოზს დღეს არსებული ფასების გათვალისწინებით. ეს რეფორმა პაციენტების ინტერესებს ემსახურება. ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე უნდა გაიზარდოს, რადგან სამედიცინო დაწესებულებებში მომსახურების ფასები გათანაბრდება, კონკურენცია გაიზრდება და უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ სამედიცინო მომსახურების ხარისხის ზრდას“.

ნატა ყაზახაშვილი: „სამედიცინო სერვისების ხარისხის მიმართ დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეიცვლება და კლინიკაში პაციენტის დაყოვნების მაჩვენებელს დიდი მნიშვნელობა ექნება, რასაც მეორენაირად სპეციალისტები ინტელექტუალურ მაჩვენებელსაც უწოდებენ, ანუ რაც უფრო კარგია დაყოვნების მაჩვენებელი, მით უფრო მაღალი დონის არის კლინიკა, რაც ნიშნავს იმას, რომ კლინიკა ორგანიზებულია, დიაგნოზის დასმა სწრაფად ხდება და შესაბამისად, მკურნალობაც სწრაფად იწყება“.

როგორ განხორციელდება და უნდა განხორციელდეს DRG-ის ეფექტიანობის კონტროლი

საჭიროა შუალედური მონიტორინგები, უწყვეტი სამედიცინო განათლების ხელშეწყობა, ზრუნვა პაციენტების განათლებაზე — ამბობენ ექსპერტები. გარდა ამისა, კონტროლის ე.წ. ჯვარედინი მექანიზმი DRG-ის პროგრამაშიც ჩადებულია.

თენგიზ ვერულავა: „DRG-ის სისტემის დანერგვა არ არის მარტივი, მოითხოვს სათანადო კადრების გადამზადებას, მუდმივ მონიტორინგს, რომ სამედიცინო დაწესებულებებმა ფიქსირებულ ფასებს არ მოუმატონ, თუ დაფიქსირდა შემთხვევა, რომ პაციენტს არაოფიციალურად დაამატებინეს თანხა, ამოქმედდება საჯარიმო ბერკეტები, თუმცა მხოლოდ ეს საკმარისი არ არის, აუცილებელია სხვა მეთოდების დანერგვაც — პაციენტების განათლების ამაღლება — მათი სათანადო დონეზე ინფორმირება, შიდა და გარე მონიტორინგების წარმოება, მონაცემების შეჯამება, ანალიზი და წამოჭრილი პრობლემების აღმოფხვრა“.

ნატა ყაზახაშვილი: „დაყოვნების მაჩვენებელი, რომელიც DRG-ის პროგრამაში ჩადებულია — ერთგვარი კონტროლის მექანიზმია. მაგალითად, თუ კლინიკა დაიწყებს ძვირადღირებული დიაგნოზების წერას, მეტი დაფინანსების მიღების მიზნით, მაშინ უნდა აჩვენოს, რომ პაციენტი კლინიკაში დიდი ხნით ყოვნდება, რაც არცერთი კლინიკისთვის არ არის კარგი. ეს კონტროლის ე.წ. ჯვარედინი საშუალებაა, რადგან სამედიცინო დაწესებულება ყველანაირად უნდა ეცადოს პაციენტი გაუმართლებლად არ დააყოვნოს კლინიკაში, მიაწოდოს ხარისხიანი სერვისი, უმკურნალოს ახალი მეთოდებით, იზრუნოს სამედიცინო პერსონალის უწყვეტ განათლებაზე, მოამარაგოს კლინიკა ახალი აპრატურით.... ანუ ეს პროგრამა კონტროლის ბევრ მექანიზმს ითვალისწინებს“.

რატომ არ გავრცელდა DRG-ის დაფინანსების სისტემა ყველა სამედიცინო მომსახურებაზე

სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოში ჯანდაცვის დანახარჯების მთავარი სიმძიმის ცენტრი ჰოსპიტალურ სექტორზე მოდის. პირველადი ჯანდაცვის რგოლი, რომელმაც მისი განტვირთვა უნდა უზრუნველყოს, სუსტად განვითარებულია. შედეგად, სახელმწიფო, ფინანსური რესურსების გამოყოფის თვალსაზრისით, შეზღუდულია. სპეციალისტების მოლოდინია, რომ, ეფექტიანი რეფორმების შედეგად გამოთავისუფლებული ფინანსური რესურსის მეშვეობით, DRG-ის დაფინანსების სისტემა ყველა სამედიცინო მომსახურებას ეტაპობრივად მოიცავს.

თენგიზ ვერულავა: „ცხადია, დღეისათვის საქართველოს ყოვლისშემძლე ბიუჯეტი არ აქვს. შესაბამისად, შედარებით მცირეა ჯანდაცვის სახელმწიფო დანახარჯები. თუმცა, შესაძლებელია მწირი ბიუჯეტის უფრო ეფექტიანად მართვა ხარჯების შეკავების სათანადო მექანიზმების დანერგვით. ერთ-ერთი ასეთი სტრატეგიული ნაბიჯია ქვეყანაში გამართული პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარება. კვლევები ადასტურებენ, რომ ადამიანს სამედიცინო საჭიროების 80% პირველადი ჯანდაცვის დონეზე უნდა გაეწიოს, რაც მოითხოვს ოჯახის ექიმის ინსტიტუციის მიმართ ნდობის ამაღლებას — რაც ოჯახის ექიმების სამედიცინო განათლების ხარისხის ზრდითა და მათი ანაზღაურების ზრდით მიიღწევა. ამ დროისთვის საზოგადოების ნდობა ოჯახის ექიმის მიმართ ძალიან დაბალია. მათ ურჩევნიათ ოჯახის ექიმის გვერდის ავლით, პირდაპირ ექიმ-სპეციალისტებს მიმართონ, რაც ჯანდაცვის დანახარჯებს ზრდის. პირველადი ჯანდაცვის რგოლის გაძლიერების შემთხვევაში უკეთ მოხდება დაავადებების მართვა, რაც ჰოსპიტალურ სექტორზე ზეწოლას შეამცირებს. გარდა ამისა, ჯანდაცვის

გვ. 12

სტუდენტური ფურცელი

tsu.media

„პოლიტიკური განათლების სკოლა“ – სტუდენტების მიერ შექმნილი წარმატებული პროექტი



უმაღლესი სასწავლებელი სტუდენტებს განვითარებისა და შესაძლებლობების გამოვლენის შანსს უნდა აძლევდეს. პრაქტიკული და თეორიული ცოდნის კომბინირებით, ახალგაზრდებს უნდა შეეძლოთ საზოგადოებაში თავის დამკვიდრება და ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს პროცესი აუცილებლად ორმხრივი უნდა იყოს – სტუდენტების ჩართულობაც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც უნივერსიტეტიდან წამოსული ინიციატივები სხვადასხვა აქტივობის განხორციელების შესახებ. უმაღლეს სასწავლებელში მიღებულ ცოდნასა და რესურსებს, შესაძლოა, მრავალგვარი დანიშნულება მოუძებნო. დღეს სწორედ ამ უკანასკნელზე მინდა გესაუბროთ, კერძოდ,

როგორ გამოიყენეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერების სტუდენტებმა ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც წლების განმავლობაში დააგროვეს?

„პოლიტიკური განათლების სკოლა“ – ასე ჰქვია პროექტს, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების კონკურსში გამარჯვების შედეგად დაფინანსდა. მისი შექმნის მთავარი მიზანი დამამთავრებელი საფეხურის სკოლის მოსწავლეებისთვის პოლიტიკურ განათლებასთან დაკავშირებული ცოდნის ამაღლება იყო. პროექტის დაწყებიდან დაახლოებით 10 თვის შემდეგ „პოლიტიკური განათლების სკოლამ“ მოსწავლეების მესამე ნაკადი მიიღო, მსურველთა რაოდენობა კი უფრო და უფრო მეტად მატულობს.

პროექტის ერთ-ერთი ორგანიზატორი, პაატა ახალკაცი, უფრო დაწვრილებით გვიამბობს თუ როგორ დაიწყეს ამ პროექტზე მუშაობა და რა მიზანს ემსახურებიან ისინი:

„პროექტი თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის ექვსმა სტუდენტმა შევქმენით, თითოეულმა ჩვენგანმა განვსაზღვრეთ გარკვეული მისია და როლები გადავინაწილეთ. პროექტის ერთიანობა სწორედ ამ როლურმა მუშაობამ შეკრა. **მიზნად დავისახეთ დამამთავრებელი სკოლის მოსწავლეებისთვის აგვემაღლებინა პოლიტიკურ განათლებასთან დაკავშირებული გარკვეული ცოდნა, მიგვეცა ის ინფორმაცია და კულტურული კაპიტალი, რომელიც ჩვენ დავაგროვეთ ამ ხნის განმავლობაში“**, – ამბობს პაატა ახალკაცი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ პროექტის ფარგლებში, სტუდენტები, თეორიულ სწავლებასთან ერთად, ეყრდნობიან პრაქტიკულ სამუშაოებსაც, ცდილობენ, მათი თითოეული შეხვედრა იყოს განსხვავებული და პროდუქტიული.

შეხვედრები ინტერაქციული ხასიათისაა და მონაწილეების მაქსიმალური ჩართულობით ხორციელდება. გარდა სტუდენტებისა, შეხვედრებს ატარებენ მონვეული სპიკერები, რომლებიც ძირითად შემთხვევაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორები არიან. „თუ პროექტის მიმდინარეობის პროცესში მონაწილეებს ვუკითხავთ, პირობითად, 15 თემას პოლიტიკის შესახებ, თერთმეტ ან თორმეტ თემაზე უშუალოდ სტუდენტები ვმუშაობთ, ხოლო 3 ან 4 ლექციას მოწვეული ლექტორები კითხულობენ. მათი მეშვეობით ვცდილობთ, რომ შეხვედრები მრავალფეროვანი და საინტერესო გამოვიდეს“, – ამბობს პაატა.

პროექტის ფარგლებში, სტუდენტები მონაწილეებთან ერთად იმყოფებოდნენ ისეთ საჯარო უწყებებში, როგორებიცაა საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრეზიდენტის ადმინისტრაცია და სხვ. **მათი მიზანია, თეორიულ ცოდნასთან ერთად, ახალგაზრდებმა თვითონ ნახონ და გაიგონ იმ საჯარო სტრუქტურების შესახებ, რომელთა მეშვეობითაც ფუნქციონირებს პოლიტიკური (და არა მარტო) პროცესები ქვეყანაში.**

„თავდაპირველად, მსურველთა რაოდენობა დაბალი იყო, მაგრამ პირველი ნაკადის დასრულების შემდეგ, გაცილებით მეტმა ადამიანმა გაიგო აღნიშნული პროექტის შესახებ და მსურველთა რაოდენობამაც მოიმატა. ამაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შექმნილმა „საბავშვო უნივერსიტეტმაც“ შეგვიწყო ხელი, მათ საკუთარ გვერდზე განათავსეს ინფორმაცია და ამით გაცილებით მეტმა მოსწავლემ გაიგო ჩვენ შესახებ. მესამე ნაკადის დაწყებისას, 100-ზე მეტი მსურველიდან, გეგმით განსაზღვრული 30 ადამიანის შერჩევა საკმაოდ შრომატევადი საქმე იყო, მაგრამ ამავდროულად გვახარებს ის ფაქტი, რომ ჩვენგან წასული მონაწილეები თავიანთ თანატოლებს ესაუბრებიან „პოლიტიკური განათლების სკოლაზე“ და რეკომენდაციას უწევენ პროექტში მონაწილეობაზე. ამასთან, უფრო მეტ ახალგაზრდას უჩნდება სურვილი, მიიღოს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ცოდნა და გამოცდილება“, – ამბობს პაატა ახალკაცი.

რაც შეეხება მომავლის გეგმებს, უნივერსიტეტის დასრულების შემდგომ, მათ სურთ ორგანიზაციად ჩამოყალიბდნენ და გააგრძელონ დაწყებული საქმე, რომელიც ახალგაზრდების ცოდნის გაზრდას და პოლიტიკური კულტურის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანას ემსახურება...

მარიამ გამზარდია,
თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნირებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტი

ძველბერძნული ენა თსუ-ს სტუდენტის ინტერესებში

გიორგი კახიშვილი – პროფესიით ფილოლოგი, კულტურის საკითხებით დაინტერესებული ახალგაზრდაა, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მეორედ აირჩია. პირველად მაშინ, როდესაც ქართული ფილოლოგიის ბაკალავრიატის ხარისხს დაეუფლა, ხოლო მეორედ – როდესაც სწავლა მაგისტრატურაზე, ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო.

გიორგის ანტიკური კულტურისადმი სიყვარული სკოლის ასაკიდანვე ჰქონდა. მან საკმაოდ საინტერესო, მრავალფეროვანი და რთული გზა განვლო იქამდე, სანამ შემოგვთავაზებდა მის მიერ ძველი ბერძნულიდან ნათარგმნ ტექსტებს. მისი გამორჩეული თარგმანი **„ტრაქისელი ქალებია“,** რომელშიც დიდი ძალისხმევა, დრო და ენერგია ჩადო.

„ბაკალავრიატის პირველივე სემესტრში ავირჩიე ძველი ბერძნული ენის კურსი. ენის სირთულემ, ერთი მხრივ, შემაშინა, მაგრამ, ამავდროულად, სწავლის სურვილი გამიმძაფრა, ამიტომ საფაკულტეტო ბერძნულის დახურვის შემდეგ სპეციალობის ძველი ბერძნული ენის კურსი ავირჩიე. შემდგომ საფეხურად ერთ-ერთი კურსის ფარგლებში ძველ ბერძენ ავტორებს დედანში გავეცანით. კლასიკური ენებიდან თარგმნის სურვილი მანამდეც მქონდა და ზემოაღნიშნული ეტაპების გავლის შემდეგ, ჩავთვალე, რომ ამისათვის, მეტ-ნაკლებად, მზად ვიყავი. ავტორისა და ტექსტის არჩევა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ქართულენოვანი თარგმანი ამ უმნიშვნელოვანესი ტექსტებისა არ არსებობდა“, – გვიყვება გიორგი კარიერული წინსვლის პირველ ნაბიჯებზე და პროფესიის პირველ სირთულეებზე.

არ არსებობს პროფესია სირთულეებისა და დაბრკოლებების გარეშე. მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესოა – თუ რა სახის სირთულეებთანაა დაკავშირებული ძველი ბერძნული და ლათინური ენების თარგმნა. გიორგის თქმით: „კლასიკური ენებიდან თარგმნა განსხვავდება სხვა, ცოცხალი ენებიდან თარგმნისაგან. საქმეს ართულებს ლექსიკურ ფორმატივთა პოლისემანტიკურობა, დიალექტური ფორმების სიმრავლე, სტილის ნაირგვარობა და არაერთი

სხვა დეტალი. სწორედ ამიტომ, ძველი ბერძნული და ლათინური ენებიდან თარგმნას გაცილებით დიდი დრო და ძალისხმევა სჭირდება. ხშირად ტექსტის ცალკეული მონაკვეთი იმდენად რთული გასააზრებელია, რომ ლექსიკონებიც კი ვერ გიწევენ დახმარებას. ყოფილა შემთხვევებიც, როცა კონკრეტული ლექსიკური ფორმატივი ავტორიტეტულ ლექსიკონში, სულაც, არასწორად ყოფილა განმარტებული. ეს კლასიკური ენების, უფრო კი, ძველი ბერძნული ენის ერთ-ერთი თავისებურებაა. მისი სირთულე ხშირად უზუსტობისა და ჩიხში მოქცევის მიზეზი ხდება.“

საინტერესოა, დღევანდელ რეალობაში რას ემსახურება ძველი ბერნული ენიდან თარგმნილი ტექსტების არსებობა, რამდენად შემეცნებითია საზოგადოებაში ეს ყოველივე. „არახალია, რომ მთელი ევროპული ცივილიზაცია, არსებითად, ძველბერძნულ კულტურულ მონაპოვარზე დგას. ელინთა ღვაწლი ხშირად ფუძემდებლობითაა გამორჩეული, ხშირად კი – განვითარების უმაღლესი საფეხურის მიღწევით. საკუთრივ ანტიკურმა დრამამ არამც თუ აქტუალურობა არ დაკარგა, არამედ თანამედროვე ადამიანის სული ახალი ძალით ააღელვა. ანტიკური ტრაგედია მითოსით საზრდოობს, მითოსი კი, უხეშად რომ ვთქვათ, სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის სულიერი გამოცდილების ასახვა. და რადგან ადამიანი არსებითად ანტიკური დროიდან დღემდე არ შეცვლილა, ძვ.წ. V საუკუნეში დაწერილ ტრაგედიას ზუსტად ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს (თუ უფრო დიდი არა), როგორც გუშინ და გუშინწინ შექმნილ ნებისმიერ კარგ ლიტერატურულ ძეგლს“, – აცხადებს რესპონდენტი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სწავლის თვალსაზრისით ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია. წლების განმავლობაში მიღებული გამოცდილება და თავგადასავლები სტუდენტებისთვის მუდამ კარგ მოგონებად იქცევა. გიორგი კახიშვილი უნივერსიტეტის შესახებ საუბრობს: „ჰუმანიტარულ მეცნიერებებს დღესდღეობით ნაკლებად ანიჭებენ პრივილეგიას, შესაბამისად, გაჭირდება თუნდაც ხუთი ისეთი უნივერსიტეტის ჩამოთვლა, სადაც ფილოლოგიის ფაკულტეტზე ხარისხიანი სწავლებაა. თსუ-ს აქვს მრავალწლიანი ტრადიცია კარგი ფილოლოგების აღზრდისა. რაკი ჩემი სურვილი და გადაწყვეტილება ფილოლოგობა იყო, არჩევანიც, ბუნებრივად, თსუ-ს დაუკავშირდა.“

> თსუ-ს აქვს მრავალწლიანი ტრადიცია კარგი ფილოლოგების აღზრდისა. რაკი ჩემი სურვილი და გადაწყვეტილება ფილოლოგობა იყო, არჩევანიც, ბუნებრივად, თსუ-ს დაუკავშირდა.“

ლექტორისა და სტუდენტის ურთიერთობა განსაკუთრებულია იმ შემთხვევაში, თუ საკუთარი ინტერესის სფეროები ერთმანეთისას პირნათლად ემთხვევა. რესპონდენტის წარმოდგენით, უნივერსიტეტში სწავლის წლები ნამდვილად ღირებულია – „უნივერსიტეტმა სტუდენტს განვითარების გზა უნდა უჩვენოს, სხვა დანარჩენი თვითგანვითარების საქმეა. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტმა ბევრი რამ მომცა. განსაკუთრებით ღირებული ჩემთვის ის არის, რომ სწორედ აქ სწავლისას გახდა ნათელი ცალკეულ დისციპლინათა მნიშვნელობა. იყვნენ და არიან ლექტორები, რომლებმაც უზარმაზარი გავლენა იქონიეს ჩემზე, როგორც ადამიანსა და მომავალ ფილოლოგზე. ბუნებრივია, უფრო ნაყოფიერი იყო იმ ლექტორებთან ურთიერთობა, რომლებიც ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო საგნებს მასწავლიდნენ. შესაბამისად, რომ არა უნივერსიტეტი, ამ ადამიანებს ვერასოდეს შევხვდებოდი და ვინ იცის, ვინ ან რა ვიქნებოდი ახლა.“

გიორგის სხვა ინტერესები დაკავშირებულია ქართული სასიმღერო თუ სამგალობლო კულტურასთან. იგი დაკავებულია ქართული კანონიკური გალობით. ამჟამად ასწავლის სკოლაში როგორც ქართულ ენასა და ლიტერატურას, ისე ლათინურ ენას. ყოველდღიურად კი ემსახურება ზემოთ ხსენებულ საქმიანობას – ძველი ბერძნული ენიდან თარგმანს. მისი საყვარელი ქართველი პოეტი შოთა რუსთაველია, უცხოელი კი – მარსელ პრუსტი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გიორგი საბას პრემიის ფინალისტია. ის განცდებთან და მოლოდინებთან დაკავშირებით ასე საუბრობს – „რთულია მოლოდინზე საუბარი. ბუნებრივია, სასიხარულოა, როდესაც საკმაოდ რთული სამუშაოს მეტ-ნაკლები წარმატებით შესრულება რაიმე ფორმით გიფასდება და მეც ძალიან გახარებული ვიყავი.“

საბოლოოდ, სკოლის ასაკიდანვე დაწყებული დაინტერესება დღეს პროფესიული სახით გვხვდება. მნიშვნელოვანია, ნებისმიერ სფეროში ეძებო გზა, რომელსაც, სირთულეების მიუხედავად, საინტერესოდ გაივლი. როგორც გიორგი კახიშვილი აღნიშნავს, პროფესიული წარმატების განმაპირობებელი ფაქტორები „დროის სწორად გამოყენება, შრომა და თვითგანვითარებაზე ზრუნვაა.“

მარიამ ჯაბანიშვილი
თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულების სტუდენტი

საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისლამური სახელმწიფოების ურთიერთობები ახალგაზრდა თურქოლოგის სამეცნიერო ინტერესების არეალში

შერთხია ბეროშვილი

გაიცანით ახალგაზრდა მეცნიერი გიორგი ახალკაციშვილი, ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის წევრი, სასწავლო ცენტრ „ახალი გზის“ ისტორიის მასწავლებელი, Tcc/მასწავლებელთა საკონსულტაციო ცენტრის მიერ Smart-test-ის ფარგლებში მომზადებული ისტორიის ტესტების ავტორი, სსიპ — მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ვებსკოლის“ ისტორიის ვებინარების სპიკერი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი (23/06/2020 — 23/07/2020), 35-მდე სამეცნიერო და სამკითხველო სტატიის ავტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის კურსდამთავრებული.

გიორგი სტუდენტური წლების გახსენებისას განსაკუთრებით თავის პედაგოგებსა და უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნაზე ამახვილებს ყურადღებას: „ნამდვილად გამიმართლა, რომ თსუ-ს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, თურქოლოგიის მიმართულებაზე მოვხვდი, რადგან აქ დამხვდნენ თავიანთი საქმის ნამდვილი პროფესიონალები — მთელი კათედრა არის ერთი დიდი ოჯახი, სადაც საოცარი კოლეგიალურობა იგრძნობა,“ — ამბობს ის.

კითხვაზე, რატომ დაინტერესდა ამ დარგით, იხსენებს, რომ ეს გადაწყვეტილება ისტორიის სიყვარულით იყო განპირობებული. „სკოლის პერიოდიდანვე დავინტერესდი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისლამური სახელმწიფოების ურთიერთობების ისტორიით, ასევე ოსმალეთ-ევროპის, ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობებით, რაზეც დღემდე ვმუშაობ. ჩემი მიზანი იყო საქართველო-ოსმალეთის ისტორია დეტალურად შემესწავლა და მეც დამეწერა ნაშრომები აქამდე ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცნობ საკითხებზე“, — ამბობს გიორგი. ამის მაგალითია მისი ახალი სტატია — „1400-1401 წლებში ეგვიპტელი მამლუქების წინააღმდეგ თემურ-ლენგის ლაშქრობის შესახებ,“ — რომელიც წლის ბოლოსთვის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის ჟურნალ „აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნეში“ გამოქვეყნდება. ავტორის აზრით, სტატიაში წარმოდგენილი ინფორმაცია ნამდვილად მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს.

გიორგიმ პედაგოგიური საქმიანობა პირველი კურსიდანვე დაიწყო. თავიდან აბიტურიენტებს ამზადებდა, ისტორიის პედაგოგად ახლაც მუშაობს, მაგრამ მისი მთავარი ინტერესის საგანი სამეცნიერო საქმიანობაა. ამბობს, რომ ისტორიკოსმა კარგად უნდა გააცნობიროს, რომ თავდაუზოგავი, მძიმე, მაგრამ სასიამოვნო შრომა მოუწევს წარსულში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების გამოსაკვლევად.

გიორგი ახალკაციშვილის პირველი წიგნი, მონოგრაფია, რომელზე მუშაობაც ჯერ კიდევ მე-12 კლასიდან დაიწყო, შეეხება XV-XVII საუკუნეების, კერძოდ 1453-1700 წწ., ოსმალეთის სულთნების ბიოგრაფიულ ისტორიას და სტამბოლის, ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქის, კულტურულ განვითარებას. „საქართველოში ოსმალეთის ისტორიის სხვადასხვა პერიოდზე, რა თქმა უნდა, საკმაოდ ბევრი წიგნია გამოცემული და მინდა ვთქვა, რომ ამ თემატიკას ძალიან კარგი მკვლევრები ჰყავს ჩემი მასწავლებლების, ახლა უკვე კოლეგების, სახით. მეც ჩემი წვლილი შევიტანე ოსმალეთის ისტორიის შესწავლის საქმეში და დავწერე

ბოლოო სახე მიეცა და ამავე წელს დაიბეჭდა სათაურით — „ბიოგრაფიები ოსმალეთის სულთნებისა და სტამბოლის შესახებ 1453-1700 წწ.“ ამ წიგნის დაწერა ასევე გადამაწყვეტინა ოსმალეთში მოღვაწე ქალი სულთნების, რომლებიც 1534-1656 წლებში მეუღლეებთან ან შვილებთან ერთად მართავდნენ იმპერიას, ისტორიის შესწავლის სურვილმა. მოგეხსენებათ, რომ ამ თემატიკაზე ქართული საზოგადოების დაინტერესება ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც ქართულ ტელეეკრანებზე სერიალი „დიდებული საუკუნე“ გამოჩნდა. მეც დიდი ინტერესით ვნახე და სწორედ იქ გადმოცემულ მოვლენებზე დაბადებული კითხვებით მივედი იქამდე, რომ ოსმალეთის ისტორიის შესწავლა დეტალურად მომინდა. ნაშრომში ჩართულია ისტორიული ილუსტრაციები და ქართულ ენაზე, პირველად ამ თემატიკაზე, დეტალურად, სპეციალურად ამ წიგნისთვის, შექმნილი რუკები, რომელთა დამზადებისთვის და უანგაროდ ჩუქებისთვის დიდ მადლობას მოვახსენებ ქალბატონ მანანა შეყილაძეს. წიგნის გაცნობა მკითხველს შეუძლია საჯარო ბიბლიოთეკაში და თსუ-ს V კორპუსში, აღმოსავლეთმცოდნეობის ბიბლიოთეკაში.

ჩემი პირველი სამეცნიერო საქმიანობა და პირველი წიგნის გამოცემა რომ შევაფასო, დასაწყისისთვის, მეოთხე კურსზე გადასული სტუდენტის ბიოგრაფიისთვის, ნამდვილად კარგი ამბავია, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, არასდროს ვარ საკუთარი ნაშრომებით ბოლომდე კმაყოფილი და წიგნის ყოველ გადახედვაზე რაღაცის შეცვლა მინდება, მგონი ეს სამეცნიერო წიგნების ავტორებისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა.

> ისტორიკოსმა კარგად უნდა გაიცნობიროს, რომ თავდაუზოგავი, მძიმე, მაგრამ სასიამოვნო შრომა მოუწევს წარსულში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების გამოსაკვლევად.

ისეთ საკითხზე, რაზეც საქართველოში ჯერ არავის უმუშავია სიღრმისეულად — სულთნების და მათი ოჯახის წევრების ბიოგრაფიული ისტორიის მიმართულებით. წიგნს, ხუთწლიანი შრომის შედეგად, 2020 წელს, უკვე სა-

სამწუხაროა, რომ პრეზენტაციის გაკეთება ვერ შევძელი, წიგნების დასტამბვიდან სამ დღეში, COVID-19-ს გამო, აიკრძალა შიდა სივრცეში თავშეყრა და წიგნების საჩუქრებად დარიგება დისტანციურად მომიწია“, — ამბობს ახალგაზრდა მეცნიერი.

გიორგი ახალკაციშვილი ამჟამად უკვე მეორე წიგნზე მუშაობს. უკვე თავი მოუყარა და მოიძია ლიტერატურა და დაიწყო იმ წყაროების თარგმნა, რომლებიც საქართველოს ისტორიის ყველაზე მძიმე ეპოქას XV-XVI საუკუნეებს ეხება. გიორგი ახალკაციშვილის თქმით, ეს პერიოდი, ქართულ ისტორიოგრაფიაში, აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსების მიერ დეტალურად არის შესწავლილი, მაგრამ ისტორიას ახასიათებს ახალი მასალებისა და ცნობების ნელ-ნელა გამოჩენა, რაც ბევრი საკითხის ახლებურად გააზრების საშუალებას იძლევა. ახალი წიგნი, სათაურით — „საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური ქვეყნების ურთიერთობები 1386-1600 წწ“, უახლოეს მომავალში გამოიცემა. „ამ წიგნის შექმნის იდეა პირველად ჩემს დიდ მასწავლებელს, ლექტორს, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის დიდი ოჯახის ძვირფას წევრს, გამორჩეულ მეცნიერს, პროფესორ გოჩა ჯაფარიძეს ვაცნობე, რომელმაც პირველივე კურსიდან განსაკუთრებული როლი ითამაშა ჩემს სამეცნიერო საქმიანობაში. ამ წიგნში გამოყენებული ლიტერატურის უმრავლესობის მოძიებაც მისი დამსახურებაა. ნაშრომი ბატონი გოჩას ნათელ ხსოვნას მიეძღვნება“, — ამბობს მეცნიერი.

გიორგი ახალკაციშვილის სამომავლო გეგმები ძირითადად სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეხება. ჯერჯერობით მეორე წიგნის გამოცემაა პრიორიტეტი. ასევე აპირებს თავისი სტატიების კრებულის გამოცემასაც, რომელშიც შევა სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები საქართველოს, ახლო აღმოსავლეთის და ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებზე. ასევე გეგმავს საკუთარი სააბიტურიენტო ცენტრის გახსნას. მომავლის გეგმებშია ასევე თავისი სპეციალობით საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებაც.

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲐᲜᲢ ᲗᲐᲛᲗᲐ ᲯᲣᲛᲑᲐᲫᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲙᲐᲕᲨᲘᲠᲖᲔ

ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

თამთა ჯუმბაძე თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის დოქტორანტია. მისი ინტერესის სფერო საკმაოდ ფართოა, განასკუთრებით კი ის საკითხები აინტერესებს, რომელიც თავისუფლებისა და რელიგიის ურთიერთკავშირს ეხება. მისი კვლევის ობიექტი, ჯერ კიდევ მეორე კურსიდან, იტალიელი ჰუმანისტის (1463-1494) ჯოვანი პიკო დელა მირანდოლას შემოქმედებაა. თამთა იმ მიზეზებზე საუბრობს, რის გამოც ამ უდიდესი მოაზროვნის ტრაქტატზე შეაჩერა ყურადღება.

„თანამედროვე გლობალიზაციის პროცესებში, როცა საერთო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული პოლიტიკა მეტნაკლებად განსაზღვრავს, „დომინოს პრინციპზე“ აწყობილ მსოფლიოს „აქილევსის ქუსლად“ რჩება რელიგიური დაპირისპირება ქრისტიანობასა და ისლამს შორის. ამიტომ მირანდოლას „900 თეზისი ფილოსოფიაში, კაბალასა და თეოლოგიაში“ თანამედროვე მსოფლიო წესრიგის გადასახედიდანაც კი მნიშვნელობასა და აქტუალობას არ კარგავს. სწორედ ამ საკითხმა დამაინტერესა მეც თავდაპირველად, მაგრამ რაც უფრო მეტად ვეცნობოდი მირანდოლას პიროვნებასა და მის ნააზრევს, მით უფრო საინტერესო და მრავლისმომცველი ხდებოდა საკითხი. ის გახლდათ პიროვნება, რომელმაც სრულიად ახალი ფილოსოფიური და რელიგიური იდეები ჩამოაყალიბა. მან საფუძველი ჩაუყარა ქრისტიანულ კაბალას, სინკრეტიზმსა და ნატურფილოსოფიას. მირანდოლა იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც გააცოცხლა ანტიკურ-ბერძნული ფილოსოფიის ჰუმანიზმი, მას ასევე სჯეროდა, რომ თითოეულ რელიგიაში იყო ჭეშმარიტების მარცვალი, ამიტომ სცადა შეექმნა მასშტაბური სინთეზი რელიგიებისა და ფილოსოფიის, მათ შორის, პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებაზე დაყრდნობით. მისი ეს ნააზრევი იმ დროს არსებული ფილოსოფიური მსოფლმხედველობისაგან და დოგმატიკური რელიგიისაგან განსხვავდებოდა, რაც ძალზედ საინტერესოს ხდის მირანდოლას პიროვნებას და მის გარემოცვას. გარდა ამისა, როდესაც მირანდოლაზე კვლევა დავიწყე, აღმოვაჩინე, რომ მასზე ქართულად თითქმის არაფერია დაწერილი, ამიტომ მირანდოლას პიროვნება და მისი განსხვავებული და გამორჩეული მსოფლმხედველობა ქართული სამეცნიერო სივრცისთვის ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს“, – ამბობს თამთა.

თამთას სტატიებმა ჯოვანი პიკო დელა მირანდოლაზე ისტორიკოსების ყურადღება და მოწონება დაიმსახურა. პირველი სტატია სათაურით – „ჯოვანი პიკო დელა მირანდოლას ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრებების თანამედროვე ასპექტები „900 თეზისის“ მიხედვით“ დაიბეჭდა სერგი დანელიას 130 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში, რომელიც ქუთაისში გამოიცა. მეორე სტატია კი დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალში – „სტუდენტური წელიწდეული – ჰუმანიტარული კვლევები“.

თამთა ჯუმბაძე ფიქრობს, რომ ქართული საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება იტალიელი მოაზროვნის სხვა ნაშრომების გაცნობაც. იგი დაინტერესდა სხვა იტალიელი მოაზროვნეების შემოქმედებითაც, რომელთა ნააზრევი დღესაც არ კარგავს აქტუალობას, კერძოდ, ჯიროლამო სავონაროლას ცხოვრებითა და მოღვაწეობით.

„სავონაროლას პიროვნება დღემდე არ არის ცალსახად შეფასებული, ზოგს იგი ფანატიკოსად მიაჩნია, ზოგიც კი განადიდებს. დღემდე მისი პიროვნება მკვლევართა ინტერესის საგანს წარმოადგენს. ამიტომაც ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელის, ია ხუბაშვილის რჩევით, საკვლევ თემად „სავონაროლა და მისი გავლენა ჰუმანისტებზე“ ავირჩიე“. თამთა გეგმავს, რომ, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, იტალიის უნივერსიტეტში გააგრძელოს სწავლა, რათა ადგილზე გაეცნოს პირველწყაროებს; მიაჩნია, რომ ეს მის კვლევას უფრო სიღრმისეულსა და საინტერესოს გახდის.

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲦᲝᲜᲦᲐᲫᲔᲡ ᲗᲡᲣ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲐᲨᲘ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲐ

ალბათ ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ დღევანდელ რეალობაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ამიერკავკასიის მასშტაბით, განათლების მისაღებად საუკეთესო ადგილია. თუმცა ერთია შეიძინო ხარისხიანი განათლება კონკრეტულ პროფესიაში და მეორე საკითხია – მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით რეალიზდე და ამა თუ იმ სფეროში შენი სათქმელი თქვა. ქვეყანაში, სადაც ნომერ პირველ გადაუჭრელ პრობლემად სწორედ უმუშევრობა გვევლინება, საქართველოში არსებული უნივერსიტეტებისთვის დღეს ეს ყველაზე დიდი გამოწვევაა. არადა თითქოს ახალგაზრდების უმეტესობა უნივერსიტეტში აბარებს და სწავლობს, მაგრამ სწავლის დამთავრების შემდეგ მიღებულ ცოდნას სასწავლებლის კედლებშივე ტოვებს და ახალ ასპარეზს ეძებს.

მე კი მინდა გაგაცნოთ ისეთი ადამიანი, რომელიც თავისი ცხოვრების გზით ზემოთ აღნიშნულ პრობლემას აბათილებს და ამტკიცებს, რომ თსუ არა მხოლოდ თეორიული ცოდნის მომცემი, არამედ წარმატებულ ინდივიდად ჩამოყალიბების საუკეთესო მოტივატორია.

2016 წელს ქალაქ გორის სკოლადამთავრებულმა 17 წლის ოდნავ შეშინებულმა, მაგრამ დიდი მიზნებით აღსავსე გოგონამ – სალომე ღონღაძემ თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო, ბედი თსუ-ს დაუკავშირა და ერთ-ერთ უძველეს ფაკულტეტს, აღმოსავლეთმცოდნეობას მიაშურა მაშინ, როცა მის მიერ არჩეულ პროფესიას გარშემო მყოფები ოდნავ ეჭვის თვალით უყურებდნენ. სალომესთვის სწორედ ეს ეჭვი აღმოჩნდა მამოტივირებელი ძალა – დაემტკიცებინა ყველასთვის, რომ მიზნებს აუცილებლად განახორციელებდა და რომ ეს არ იყო ერთი თინეიჯერის სპონტანურად მიღებული გადაწყვეტილება.

„არასდროს დამავიწყდება ჩემი პირველი ლექცია, როდესაც გულაჩქარებულმა შევაღე აუდიტორიის კარი და ლექტორმა, ქალბატონმა ნანი გელოვანმა მერხისკენ მიმითითა. მახსოვს, როგორ ხარბად ვცდილობდი მისი თითოეული სიტყვა დამეჭირა და სამუდამოდ ჩამებეჭდა გონებაში. თუმცა ჩემი პროფესიის მთავარ ხიბლს პირველი კურსის მეორე სემესტრში მივხვდი, როცა პირველად მომიწია შეხება არაბულ ენასთან. ჩემი პირველი გზამკვლევები ამ რთულ, მაგრამ საინტერესო გზაზე ქალბატონი დარეჯან გარდავაძე და ქალბატონი ნინო კახიანი აღმოჩნდნენ. მათი დამსახურებით გავეცანი იმას, რამაც ჩემს შემდგომ ცხოვრებაზე უდიდესი გავლენა იქონია“, – გვიყვება სალომე.

მისთვის ეს 4-წლიანი ისტორია იოლი ნამდვილად არ იყო. როგორც ყველა წარმატებულ ადამიანს, მასაც ბევრი წინააღმდეგობისა დაძლევა მოუხდა. მისი კურსელების უმეტესობამ, ენის სირთულიდან გამომდინარე, არჩეულ გზას გადაუხვია და ფაკულტეტი შეიცვალა. სალომე კი ბოლომდე თავისი გადაწყვეტილების ერთგული დარჩა. ასე მოვიდა მეოთხე კურსამდე, რომელიც მისთვის მეტად საინტერესო აღმოჩნდა.

მეოთხე კურსის მთავარ აღმოჩენად სალომე პროფესორებს – გიორგი ლობჟანიძეს და ნინო ეჯიბაძეს მიიჩნევს, თუმცა რა გასაკვირია, საუბარი გვაქვს აღმოსავლური ლიტერატურის ერთ-ერთ გამორჩეულ მთარგმნელზე, გიორგი ლობჟანიძეზე, რომელმაც თავისი საინტერესო ლექციებით ლიტერატურის თარგმნის ხელოვნებას აზიარა, ხოლო ქალბატონი ნინო, რომელიც ცოდნითა და დისციპლინით გამოირჩევა, გახდა მოტივატორი ახალი მიზნებისა. სწორედ მისი დამსახურებით, კოვიდ პანდემიის პირობებში, ლექციების სრულყოფილად მოსმენა და სწავლა სალომესთვის იოლი აღმოჩნდა.

დღეს სალომე, ამ უიშვიათესი ენის – არაბულის წარმატებული თარჯიმანია.

„ახალი ენის შესწავლით შენს წინაშე ახალი სამყარო იხსნება, რომლის ნაწილიც თავად ხდები და საშუალება გეძლევა იპოვო რაღაც უნიკალური და უჩვეულო. ჩემ შემთხვევაში აღმოსავლური, კერძოდ, კი არაბული სამყაროს აღმოჩენის მშვენიერ გამოცდილებაზეა საუბარი“ – სალომე ღონღაძე.

„უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მალევე დავიწყე მუშაობა ერთ-ერთ არაბულ სამშენებლო კომპანიაში, რომელიც დაკომპლექტებულია არაბულენოვანი თანამშრომლებით. ისინი გაოცებას ვერ მალავენ, როდესაც იგებენ, რომ ჩემი ცოდნა არაბულ ენაში თსუ-ში მიღებული განათლებით შემოიფარგლება“, – ამბობს სალომე.

ყველაფერთან ერთად იყო სხვადასხვა ბიზნეს შეხვედრა, ტელევიზია, ჟურნალი... ყველგან და ყოველთვის იგი თსუ-ს მადლიერია. ყველგან აღნიშნავს იმას, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის გარეშე ამდენს ვერ შეძლებდა. „ჩემთვის ყველაზე კარგი შეფასება იყო საუდის არაბეთის ელჩის სიტყვები, რომელიც მოხიბლული დარჩა ჩემი არაბული ენით. მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ ეს მხოლოდ საქართველოში მიღებული ცოდნა იყო, გაკვირვებული დარჩა. ამიტომაც, ყოველთვის, როცა თსუ-ს მე-5 კორპუსს ჩავუვლი, ვხვდები, რომ ეს საუკეთესო არჩევანი იყო და მადლიერებით მევსება გული. მახსენდება სტუდენტობის 4 წელი, სასიამოვნო და თავგადასავლებით სავსე პერიოდი, თავისი საინტერესო ლექტორებით, ლექციებით და სირთულეებით“, – იხსენებს იგი.

სალომეს მაგალითი ზუსტად გვიჩვენებს, რომ მიზანდასახული, თავის საქმეზე შეყვარებული და შრომისმოყვარე ადამიანი, რომელსაც მთელი ცხოვრება წინ აქვს, ცოდნის მეშვეობით კიდევ ბევრჯერ იტყვის სათქმელს. მადლიერება კი უძვირფასესი თვისებაა, რომელიც ადამიანს მთელი ცხოვრების განმავლობაში გაჰყვება.

ᲜᲘᲜᲘ ᲦᲝᲜᲦᲐᲫᲔ
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

ᲔᲠᲜᲐ ᲨᲙᲝᲘᲐᲜᲘ – ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲓᲐᲜ

ერნა შკოიანი ნინოწმინდიდანაა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე სწავლობს. ის, რომ მისი გზა მედიცინისკენ მიდიოდა, ბავშვობიდან გააცნობიერა და ამიტომაც სკოლის დასრულების შემდეგ სხვა პროფესიაზე არც უფიქრია. ერნა ამბობს, რომ მის სოფელში მხოლოდ სამი უნივერსიტეტის შესახებ ჰქონდა ინფორმაცია. ესენია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიაუნი და სამედიცინო უნივერსიტეტი. დიდი ფიქრის შემდეგ მან თსუ აირჩია, რადგან, მისი აზრით, თსუ ყველაზე ცნობილი უნივერსიტეტი იყო. არჩევანი იმ ფაქტორმაც განაპირობა, რომ აქ ბევრი ნაცნობი ჰყავდა, თუმცა, ცოტა ხანში, 4+1 პროგრამაზე ჩაბარების შემდეგ, კინაღამ გადაიფიქრა ექიმობა.

„როგორც იცით, ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტები არ აბარებენ იმ პრინციპით, როგორც ქართულენოვანები. ჩვენ ვაბარებთ მხოლოდ ზოგად უნარებს (მშობლიურ ენაზე), შემდგომში გავდივართ ერთნლიან პროგრამას, ანუ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას და მხოლოდ ამის შემდეგ ვხვდებით ჩვენ მიერ არჩეული პროფესიის შესაბამის პირველ კურსზე. იმ ერთი წლის განმავლობაში, როცა ქართულ ენას ვსწავლობდი, შევიცვალე აზრი და მინდოდა საერთაშორისო ურთიერთობებზე ჩაბარება, რადგან ჩემზე დიდ გავლენას ახდენდნენ მაღალკურსელები, რომლებიც ამბობდნენ, რომ მედიცინაზე სწავლა რთულია და არ ღირს. პროფესიის არჩევის დროს ძალიან ვნერვიულობდი, რადგან არც ოჯახში უხაროდათ ჩემი არჩევანი... მაგალითად, დედაჩემს სურდა – ფიზიკაზე ჩამებარებინა. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც გადავწყვიტე, რომ მედიცინა არის ის სფერო, რომელიც თავად მე მსურდა და რომელშიც სამომავლოდ საკუთარ თავს ვხედავდი“, – ამბობს ერნა.

როგორც ერნა აღნიშნავს, თსუ-ში ჩაბარებამ ძლიერ გოგოდ აქცია და ერთი მეორეზე უკეთესი მეგობრები და კურსელები შესძინა. სწავლასთან ერთად ერნა სამედიცინო დაწესებულებაშიც მუშაობს. გარდა ამისა, სხვა მიმართულებითაც აქვს ინტერესები – აქტიურადაა ჩართული თსუ-ს ახალგაზრდული ცენტრის პროექტებში, თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც. ასევე არის მოხალისე და ტრენერი – საინფორმაციო შეხვედრებს ატარებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. დაინტერესებულია არაფორმალური განათლებითაც არა მხოლოდ მისი სფეროს, არამედ პოლიტიკის მიმართულებითაც.

მოთმინება, მიზანდასახულობა, გუნდური მუშაობის უნარი – ეს ის თვისებებია, რაც ერნას მომავლის შექმნასა და განსაზღვრაში ეხმარება. „საერთოდ, თავს ვიკავებ ხოლმე სამომავლო გეგმებზე საუბრისას, რადგან ისეთ რეალობაში ვცხოვრობთ, არც ვიცით – ხვალ რა იქნება. თანაც ჩემს ცხოვრებაში სულ ისე ხდება ხოლმე, რომ რასაც ვგეგმავ, არასდროს მისრულდება. ამიტომ მირჩევნია, ყველაფერი თავისი გზით წავიდეს. ფარმაციაზეც დავიწყე სწავლა, რათა უფრო მეტად გავაღრმავო ჩემი ცოდნა მედიცინაში. დიდი სურვილი მაქვს, რომ რეზიდენტურაზე სხვა ქვეყანაში ჩავაბარო, მაგრამ რამდენად გამოვა, არ ვიცი. ვგეგმავ უფრო მეტი ცოდნის მიღებას ჩემს სფეროში და არა მხოლოდ. ჩემი მიზნებია: ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე სიარული, მართვის მოწმობის გამოცდის ჩაბარება და მოგზაურობა (ეს არა გეგმა, არამედ ოცნებაა). მინდა ვნახო საქართველოს ყველა კუთხე, რადგან აქამდე არსად არ ვყოფილვარ ჩემი რეგიონის გარდა. ვოცნებობ, მქონდეს ჩემი პირადი პატარა ბიბლიოთეკა და საკუთარი ბლოგი. მსურს, ინტერნეტში მყავდეს ფართო აუდიტორია“, – ასეთია ერნას გეგმები.

ᲜᲘᲜᲝ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

სტუდენტური ფაცალი

tsu.media

სტუდენტური ზეიმი მე-3 კორპუსის ეზოში

თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ორგანიზებით, მე-3 კორპუსის ეზოში ფაკულტეტის პირველკურსელთა საპატივცემულოდ წვეულება მოეწყო, რომელსაც თსუ-ს სტუდენტები, მოწვეული სტუმრები და პროფესორ-მასწავლებლები ესწრებოდნენ. წვეულების ორგანიზატორებმა ეზო გირლიანდებით გაანათეს და ხელნაკეთი დეკორაციებით მორთეს. ისინი პირველკურსელებს გემრიელი ტკბილეულითაც გაუმასპინძლდნენ. საღამოს მუსიკალურად აფორმებდა ორი ბენდი: „რაც არის“ და „key of soul“.

„ივენთის“ მიზანი პირველკურსელებისთვის სასიამოვნო გარემოს შექმნა იყო. ისინი თავიდან უცხოდ გრძნობენ თავს უნივერსიტეტის სივრცეში და ეს ლამაზი საღამო მათი მეტი გახსნილობისთვის და ახალი მეგობრების შეძენისთვის მოვაწყვეთ, რაშიც ფაკულტეტის ადმინისტრაციაც დაგვეხმარა და გვერდში ამოგვიდგა. იმედია, ეს საღამო სასიამოვნო და დაუვიწყარი გახდება ბევრი სტუდენტისთვის“, – აღნიშნა წვეულების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ანა გვიშიანმა.

პირველკურსელებს მიესალმა და სასიამოვნო საღამოს გატარება უსურვა თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ. „ეს საღამო პირველკურსელების საპატივცემულოდ მოეწყო. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს ფაკულტეტზე, წარმატებებს და სასიამოვნო სტუდენტობას გისურვებთ! თქვენ უნდა იპოვოთ საკუთარ თავში რესურსი და საზრისი იმაში, რასაც აკეთებთ.

ყველას გისურვებთ სიამოვნების მიღებას სწავლის პროცესისგან, შემეცნებისგან. აქ უნდა ვისწავლოთ ერთმანეთზე ზრუნვა. მინდა, რომ ეს ზეიმი მთელი ცხოვრება სასიამოვნო მოგონებად გაგყვეთ“, – ასე მიმართა წვეულების მონაწილეებს თამარ გაგოშიძემ და წინსვლა და ბედნიერება უსურვა მათ.

„ეს ზეიმი ჩვენ, პირველკურსელებს, ერთმანეთის გაცნობასა და დაახლოებაში გვეხმარება და ასეთი ღონისძიებები რაც უფრო მეტი მოეწყობა, მით უფრო კარგი იქნება“, – აღნიშნა პირველკურსელმა ანი ჯავახიშვილმა, რომელსაც მომავალი ფსიქოლოგი კესო შალამბერიძეც დაეთანხმა და თქვა: „ზეიმი ახალ გარემოსთან ადაპტირების საშუალებას გვაძლევს. პირველკურსელი ვარ და ეს საღამო თანაკურსელებთან დაახლოების შანსია, რადგან უფრო თავისუფალ და მხიარულ გარემოში ვართ. ერთმანეთი გვიხარია და გვიყვარს!“ პირველკურსელი გიორგი ღლონტი თვლის, რომ ასეთი წვეულება სტუდენტთა სოციალიზაციისათვის კარგია. „პოზიტიური განწყობა და კარგი მუსიკა ერთმანეთთან უფრო გვაახლოებს, ახალი მეგობრების გაჩენის შანს გვაძლევს.“ ნიკოლოზ ხახიაური კი ახალი მეგობრების გაჩენისთვის და თანაკურსელებთან მეტად დაახლოებისთვის მზადაა, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, სასწავლო სივრცე ამის საშუალებას ნაკლებად აძლევს, ამიტომ ასეთი ზეიმების მოწყობა მისთვის მნიშვნელოვანია.

წვეულების მოწყობაში ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტს დაეხმარნენ კომპანიები: „შალოს მარანი“, „ძმების მარანი“, „Caramel-tbilisi“, „Event hug“, „Neon gallery“, „Dessert room“ და სხვები.

კავკასიოლოგთა I საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კავკასიოლოგთა I საერთაშორისო ლინგვისტურ–ანთროპოლოგიური კონგრესი გაიმართა.

ენათმეცნიერების, დარგთაშორისი ლინგვისტური კვლევების, კულტუროლოგიის, ეთნოლოგიის, ანთროპოლოგიის, ლიტერატურათმცოდნეობისა და ფოლკლორისტიკის, ისტორიის, არქეოლოგიისა და წყაროთმცოდნეობის სექციების ფარგლებში 6 ქვეყნის 200-მდე მკვლევარი მუშაობდა.

სამეცნიერო ფორუმი შერეული ფორმატით მიმდინარეობდა. წარმოდგენილი იყო 175 სამეცნიერო კვლევა. ქართველ და ევროპელ მეცნიერებთან ერთად მოხსენებები წაიკითხეს მკვლევრებმა ჩრდილოეთ კავკასიიდან – დაღესტნიდან, ჩეჩნეთიდან, ჩერქეზეთიდან, ოსეთის რესპუბლიკიდან.

ცალკე მუშაობდა სტუდენტური კვლევების სექცია, სადაც მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების ნაშრომები იყო წარმოდგენილი.

კონგრესი ჩერქეზი მწერლის მიხეილ ლოხვიცკის (აჯუკ–გირეის) 100 წლის იუბილეს მიეძღვნა.

ნატო ობოლაძე

კავკასიოლოგთა I საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი 14 ნოემბერს გაიხსნა. ახალი კვლევების განხილვა ორი დღის განმავლობაში გაგრძელდება. ღონისძიება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ჯაბა სამუშიამ, თსუ-ს კავკასიოლოგთა ინსტიტუტის ხელმძღვანელმა მერაბ ჩუხუამ, თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ნანა გაფრინდაშვილმა, თსუ-ს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა ნანა მაჭავარიანმა, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა და შვედეთიდან და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან მოწვეულმა მკვლევრებმა გახსნეს. მეცნიერებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კავკასიოლოგიის მიმართულებით არსებული სამეცნიერო კვლევების ტრადიციების, დარგის სამომავლო განვითარებისა და პირველი ქართული უნივერსიტეტის – როგორც კავკასიელი ხალხების გამაერთიანებელი ფუნქციის მატარებელი სასწავლო-კვლევითი დაწესებულების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

„საქართველოს, განსაკუთრებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, აქვს სურვილი-კავკასიოლოგიის დარგი კიდევ უფრო განავითაროს“

„კავკასიოლოგია, როგორც სამეცნიერო დარგი, დიდი ხანია, რაც თავის გამორჩეულ სიტყვას ამბობს სამეცნიერო სივრცეში, თუმცა მე, როგორც ისტორიკოსმა, მინდა თვალი გადავავლოთ საქართველოში მისი განვითარების რეტროსპექტივას. ამ დარგის სათავეებთან დიდი ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი დგას, რომელმაც თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ მთელი თავი დაუთმო კავკასიელი ხალხების აღწერას. 1852 წელს დაარსდა კავკასიის მუზეუმი, რომელიც კავკასიოლოგიის კვლევის ცენტრად იქცა, აქ შეგროვებული უნიკალური მასალა დღესაც ინახება საქართველოს წიგნსაცავებსა და არქივებში, რაც მოძმე კავკასიელ ერებს (განსაკუთრებით) გვიანი შუა საუკუნეების ისტორიის სიღრმისეულად შესწავლის საშუალებას მისცემს. შემდეგი ეტაპია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კავკასიოლოგიის მიმართულებით დაწყებული კვლევები და მათი გაგრძელება 1933 წელს დაარსებული კავკასიოლოგიის კათედრის ფარგლებში... ვარლამ თოფურიას, სიმონ ჯანაშიას, არნოლდ ჩიქობავას და მეცნიერების შემდეგი თაობის წვლილი მართლაც გამორჩეული იყო კავკასიოლოგიის განვითარებაში, მათ საფუძველი ჩაუყარეს უნიკალურ სამეცნიერო სკოლას. სწორედ ამიტომ მინდა აღვნიშნო ხაზგასმით, რომ საქართველოს, და განსაკუთრებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, აქვს სურვილი – კავკასიოლოგიის დარგი კიდევ უფრო განავითაროს. ამ საქმეში ღომის წვლილი შეაქვს კავკასიოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტსა და ენათმეცნიერების ინსტიტუტს.

აქვე მინდა აღვნიშნო სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული სიახლეების მნიშვნელობა, მათ შორის, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ცალკე საკონკურსო მიმართულება კავკასიოლოგიაში. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ქართულმა სახელმწიფომ კავკასიოლოგიაში მიმდინარე კვლევების უშუალო დაფინანსების სურვილი გამოთქვა. ვფიქრობ, რომ დღეს კავკასიელ ხალხებს ძალიან ბევრი თემა აქვთ განსახილველი და მეცნიერულად შესასწავლი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ კავკასიოლოგიის ჭრილში სხვადასხვა დარგების, მათ შორის, სამართლისა და პოლიტიკური მეცნიერებების აქტიური კვლევაც დაიწყოს“, – განაცხადა ჯაბა სამუშიამ.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარის გიორგი ალიბეგაშვილის შეფასებით, ჩრდილოკავკასიელი ხალხების ენის, კულტურისა თუ, ზოგადად, ისტორიის პრიორიტეტულობა ქართული სახელმწიფოსთვის „სახელმწიფო ენის სტრატეგიის ერთიან პროგრამაშიც“ ასახულია: „ამგვარი მასშტაბის ფორუმი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთლიანად კავკასიის რეგიონისთვის. მინდა საზოგადოებას შევახსენო, რომ მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული სახელმწიფო ენის სტრატეგიის ერთიან პროგრამაში სათანადოდ არის ასახული არა მხოლოდ სახელმწიფო ვალდებულება ქვეყნის შიგნით მცხოვრები უმცირესობების ენების დაცვის შესახებ, არამედ ის ასევე ითვალისწინებს ჩრდილოეთ კავკასიასთან მჭიდრო თანამშრომლობას და დღევანდელი დღეც სწორედ ამის დასტურია“, – აღნიშნა გიორგი ალიბეგაშვილმა.

„კავკასიოლოგთა კონგრესის ერთ–ერთი უმთავრესი მიზანია ქართულ–ჩრდილოკავკასიური ურთიერთობების აღდგენა–გაღრმავება“

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს არაერთი საერთაშორისო კონგრესი ჩაუტარებია კავკასიოლოგიის მიმართულებით, თუმცა ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური პროფილით პირველად ტარდება“, – განმარტა კონგრესის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მერაბ ჩუხუამ. მისი თქმით, ანთროპოლოგიური კონტექსტი კონგრესს ფართო ინტერდისციპლინურ ხასიათს სძენს.

„ანთროპოლოგია, საბჭოთა გაგებით, მოიცავდა მხოლოდ ადამიანის ფიზიკურ ანთროპოლოგიას, თუმცა თანამედროვე ამერიკული განმარტებითა და მიდგომით, ის გულისხმობს ყველაფერს, რაც ადამიანთან არის დაკავშირებული – ჰუმანიტარული დარგის ნებისმიერ მიმართულებას აერთიანებს. ჩვენ ვიკვლევთ ყველა სფეროს, რაც კავკასიის რეგიონთან და მსოფლიო ცივილიზაციაში მის ადგილთან არის დაკავშირებული. ჩვენი მიზანია, საფუძვლიანად შევისწავლოთ პრეისტორიულიდან დღემდე კავკასიელი ხალხების ევოლუცია.

ცალკე მუშაობს ახალგაზრდა მკვლევრების სექცია, რასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ და ვცდილობთ, რომ მათ სამეცნიერო კვლევისა და სამეცნიერო საზოგადოებისთვის კვლევების შედეგების წარდგენის უნარები სასწავლო პროცესის პარალელურად გამოიმუშაონ.

კავკასიოლოგიის კონგრესის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია არსებული პოლიტიკური ვითარების გამო ბოლო პერიოდში მინავლებული ქართულ-ჩრდილოკავკასიური ურთიერთობების აღდგენა-გაღრმავება რეგიონის იმ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებთან, რომლებიც ინტენსიურად მუშაობენ ჩეჩნეთში, დაღესტანში, ინგუშეთში, ჩერქეზულ რესპუბლიკებში და ოსეთში“, – გვითხრა მერაბ ჩუხუამ.

„ეს კონგრესი გამორჩეულია იმით, რომ სამეცნიერო დარგების ფართო სპექტრია წარმოდგენილი და ძალიან დიდ შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდა მკვლევრებს. კონგრესი ორ წელიწადში ერთხელ გაიმართება“, – აღნიშნა ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა ნანა მაჭავარიანმა.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ნანა გაფრინდაშვილის შეფასებით, კავკასიოლოგიის დარგის განვითარებაზე ზრუნვა ილია ჭავჭავაძის პოზიციის გაგრძელებას წარმოადგენს: „ილია ჭავჭავაძე პოემა „აჩრდილში“ საუბრობდა კავკასიელი ხალხების ერთიანობაზე და მათ საერთო ინტერესებზე, ეს კონგრესიც ამ მიზანს ემსახურება, რომ კავკასიელმა ხალხებმა ერთი გზით იარონ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კავკასიოლოგიის კვლევების უმნიშვნელოვანესი კერაა, ჩვენ 105 წლის ტრადიცია გვაქვს, რაც ნიშნავს, რომ ეს დარგი ახლაც ვითარდება და მომავალშიც აუცილებლად განვითარება“, – განაცხადა ნანა გაფრინდაშვილმა.

„მულტიდისციპლინური და აქტუალური საკითხები“ – ასე შეაფასეს კონგრესის პროგრამა შვედეთის მალმოს უნივერსიტეტის პროფესორმა კარინა ვამლინგმა და ლუნდის უნივერსიტეტის პროფესორმა გერდ კარლინგმა. კონგრესზე მოწვეულმა მკვლევრებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან კავკასიოლოგიის მიმართულებით მიმდინარე და სამომავლო თანამშრომლობის მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი.

„ჩვენ უნდა გავითავისოთ, რომ ვართ ერთიანი და სიტყვითა და საქმით ვისწავლოთ ერთმანეთის დაცვა“

ჩრდილოეთ კავკასიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრების წარმომადგენლებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან სამეცნიერო თანამშრომლობა რეგიონში მშვიდობის, სახელმწიფო უსაფრთხოების, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა

ბის კონტექსტში შეაფასეს და კავკასიელი ხალხების საერთო ინტერესებზე ისაუბრეს.

„ჩვენ ყოველთვის განსაკუთრებული მოწიწებული დამოკიდებულება გვქონდა საქართველოს მიმართ, რადგან მიგვაჩნია, რომ ერთმანეთისგან რადიკალურად არ განვსხვავდებით, გარდა რელიგიისა, თუმცა ამ მხრივაც არ ვფიქრობ, რომ დიდი განსხვავება არის, მორალური კოდექსი მაინც ერთია. სამწუხაროა, რომ ბოლო დროს ჩვენი სამეცნიერო კავშირები პრობლემების წინაშე დადგა. ვიმედოვნებ, ბარიერები, რომელიც არსებობდა და ხელს უშლიდა ჩვენს ურთიერთთანამშრომლობას, მოიხსნება“, – აღნიშნა ჩეჩნეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორმა იასა ხალიდოვმა.

„ჩემთვის ახლოა და ძვირფასია როგორც კავკასიელი მართლმადიდებელი, ასევე მუსლიმი ხალხები. მინდა შეგახსენოთ, რომ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიას ოდითგანვე ერთმანეთთან მჭიდრო სამხედრო, დიპლომატიური, სოციალური, კულტურული და რელიგიური კავშირი ჰქონდათ. ბევრი მსგავსი ტრადიცია გვაქვს, განსაკუთრებით კი კავკასიური მთის წეს-ჩვეულებები. ჩვენი სამეცნიერო ურთიერთობები არის ჰუმანიზმის, მშვიდობის, კეთილმეზობლობის, სამართლიანობისა და პროგრესის მაგალითი. არ უნდა დავივიწყოთ იმის შესახებ, რომ ტრადიციული მორალურ-კულტურული ღირებულებები კავკასიელი ხალხების ერთიან საყრდენს წარმოადგენს“, – განაცხადა ჩრდილოკავკასიური საერთაშორისო არქიტექტურული აკადემიის ცენტრის წევრ-კორესპონდენტმა ვლადიმერ ბესოლოვმა.

„მოხარული ვარ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – ჩემს ალმა მატერში ვიმყოფები. კავკასიაში პირველ უნივერსიტეტს უდიდესი ტრადიცია აქვს კავკასიოლოგიის კვლევების მიმართულებით და ჩვენი სამეცნიერო კავშირების გაღრმავება, ვფიქრობ, დარგის განვითარებას ხელს შეუწყობს“, – აღნიშნა დაღესტნის ჰამზათ წადასას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტის გრამატიკულ კვლევათა განყოფილების ხელმძღვანელმა მაჰომედ მაჰომედოვმა.

„ბოლოს და ბოლოს, უნდა გავითავისოთ, რომ ჩვენ ვართ ერთიანი და სიტყვითა და საქმით ვისწავლოთ ერთმანეთის დაცვა“, – ამის თაობზე ინგუშეთის სახალხო მწერალმა ისა ქაძოევმა განაცხადა, რომელმაც კონგრესზე ჩერქეზი მწერლის მიხეილ ლოხვიცკის წიგნზე – „ღმერთების ძიება“ – ისაუბრა.

„წიგნი ძალიან გაცვეთილია, ალბათ 20-ჯერ მაინც წავიკითხე, რადგან აღმაფრთოვანა ავტორის ფილოსოფიამ, მოსაზრებებმა, რწმენამ, წიგნში ასახულმა წეს-ჩვეულებებმა – ყველაფერი, რაც კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებს აერთიანებს, ამ პატარა წიგნშია მოცემული. მე ბევრი საერთო დავინახე ჩემი ხალხის კულტურასა და ტრადიციებთან. ჩერქეზმა ხალხმა, ისევე, როგორც კავკასიის სხვა ხალხებმა, სხვადასხვა დროს მძიმე გენოციდი გამოიარა, სწორედ ამიტომ უნდა ვისწავლოთ ერთმანეთის დაცვა“ – დასძინა ისა ქაძოევმა.

თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის რეპოზიტორიუმი ღია წვდომის ღრუბელში გაერთიანდა

თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის რეპოზიტორიუმი (Openscience.ge) ევროპის სამეცნიერო ნაშრომების ღია წვდომის ღრუბელში (EOSC) გაერთიანდა. ამ მიზნის მისაღწევად ბიბლიოთეკის დირექტორს – ნინო პავლიაშვილსა და მის გუნდს დაახლოებით წელიწადნახევარი დასჭირდათ. დიდი შრომისა და აქტიური მუშაობის შედეგად ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის არქივში არსებული კვლევები ფართო საზოგადოებისთვის ხილვადი გახდება.

ევროპის სამეცნიერო ნაშრომების ღია წვდომის ღრუბელში ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაა გაერთიანებული, აქედან გამომდინარე, საქართველოს ამ წრეში გაწევრიანება ძალიან სასიხარულო და მნიშვნელოვანია.

„სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში, რომელშიც წამყვანი იყო საბერძნეთი, შეიქმნა რეპოზიტორიუმ-კატალოგი „NI4OS“. ამ ორგანიზაციაში დაიწყო ჩვენი გაწევრიანება, რომელსაც დასჭირდა წელიწადნახევარი. შემდეგ კი რეგიონული კატალოგების ინტეგრაცია მოხდა ევროპის ღია წვდომის ღრუბელში (EOSC)“, – განმარტავს პროგრამისტი გიორგი მიკუჩაძე.

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის რეპოზიტორიუმი მოიცავს მეცნიერთა და მკვლევართა პროფილებს; იმ ორგანიზაციათა ჩამონათვალს, რომლებიც სამეცნიერო საქმიანობას ეწევიან; სამეცნიერო კვლევებს; მაგისტრებისა და დოქტორანტების სადიპლომო ნაშრომებს.

„ნებისმიერი მეცნიერისთვის მნიშვნელოვანია თავისი კვლევა ფართო საზოგადოებისთვის იყოს ხილვადი. გავლენიან ჟურნალებსა და გაზეთებში სტატიის გამოქვეყნება საკმაოდ ძვირია. ღია წვდომის ღრუბელში არსებული რეპოზიტორიუმი საშუალებას აძლევს მეცნიერს თავისი ნაშრომი გამოაქვეყნოს მაღალრეიტინგულ ჟურნალებთან გათანაბრებულ პირობებში. ეს მნიშვნელოვანია ქართველი მეცნიერებისთვის, რადგან მათ დიდი თანხის გადახდა უმეტესად არ შეუძლიათ. სწორედ ამიტომ, მკვლევრებს საშუალება ეძლევათ, საკუთარი ნაშრომები ზედმეტი ხარჯების გარეშე ხელმისაწვდომი, ხილვადი და თავიდან გამოყენებადი გახადონ სხვებისთვის“, – ამბობს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი ნინო პავლიაშვილი.

ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი ნინო პავლიაშვილი

პროექტის განხორციელებაში დიდი წვლილი მიუძღვის ორგანიზაცია „გრენას“ და მის აღმასრულებელ დირექტორს – რამაზ ქვათაძეს. ნინო პავლიაშვილი ხაზს უსვამს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის გუნდის დიდ მონდომებას და, ამასთან, მადლობას უხდის ორგანიზაცია – საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმს (GILISC), რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ამ პროექტის განხორციელებაში.

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის პროგრამისტი გიორგი ბანეთიშვილი აღნიშნავს, რომ „ამ ეტაპზე რეპოზიტორიუმში დაახლოებით 2000-ზე მეტი ნაშრომი არის განთავსებული. სამომავლოდ იგეგმება, რომ რეპოზიტორიუმი გახდეს ცენტრალური არქივი და ქვეყნის მასშტაბით ყველა ინფორმაციამ აქ მოიყაროს თავი.“

ამ მიზნის მისაღწევად დღემდე მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა.

„რეპოზიტორიუმი აკმაყოფილებს გარკვეულ სტანდარტებს: მაგალითად, მონაცემები საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა იყოს აღწერილი, ასევე იგეგმება მრავალი სიახლე. მომავალი წლიდან იწყება აქტიური საუბრები და ტრენინგები საავტორო უფლებებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე. გარდა ამისა, ვფიქრობთ კიდევ ერთი რეპოზიტორიუმის შექმნას, რომელშიც კვლევის მონაცემები იქნება განთავსებული. მიზანი კი იგივეა – ეს რეპოზიტორიუმიც გავაერთიანოთ ევროპის ღია წვდომის ღრუბელში და მივცეთ ახალგაზრდა მეცნიერებს განვითარების შესაძლებლობა“, – ამბობს ნინო პავლიაშვილი.

ნებისმიერი კვლევა, რომელიც განთავსდება რეპოზიტორიუმში, ავტომატურად მოიძებნება ევროპის ღია მეცნიერების ღრუბელში.

ეს ნაბიჯი მართლაც მნიშვნელოვანია როგორც შემდგარი, ისე დამწყები მეცნიერებისთვის და სტუდენტებისთვის, რომლებმაც უნდა იცოდნენ, რომ მათი შრომა ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დამსახურებით იქნება სათანადოდ ხილვადი და დაფასებული როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

ნანა გელაძე
თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისსტუდენტი

ფოტოები: ლუკა ერისთავისა

DRG – ქართული ჯანდაცვის სისტემაში – შეფასებები დანერგვა-აღსრულება-კონტროლის ჭრილში

მე-6 გვ-დან

ხარჯების შეკავების ერთ-ერთი საშუალებაა მედიკამენტების რეფერენტული განფასება, რის დანერგვასაც სახელმწიფო იანვრიდან აპირებს. ეს მნიშვნელოვანია, რადგან თუ მსოფლიოში მედიკამენტებზე საშუალოდ 20% იხარჯება, საქართველოში ეს მაჩვენებელი დაახლოებით 45%-ია. აღნიშნული რეფორმები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჯანდაცვის ხარჯების შეკავებას.

> პირველადი ჯანდაცვის რგოლის გაძლიერების შემთხვევაში უკეთ მოხდება დაავადებების მართვა, რაც ჰოსპიტალურ სექტორზე ზეწოლას შეამცირებს.

ნატა ყაზახაშვილი: „მე ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვიყავი ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომელი მაღალ თანამდებობებზე და ჯერ კიდევ 1998-99წწ. იქნა პირველადი ჯანდაცვის რეფორმის კონცეფცია შემუშავებული. რამდენიმე დონორი ორგანიზაციის დახმარებით, პილოტური პროექტებიც განვახორციელეთ, მაგრამ შეფერხდა. ეს პროცესი ახლა ისევ განახლდა, პანდემია კარგი მაპროვოცირებელი აღმოჩნდა და მთავრობა მიხვდა — თუ არ არის ძლიერი პირველადი ჯანდაცვა, ვერცერთი ქვეყნის ჰოსპიტალური სექტორი ვერ გაუძლებს იმ წნეხს, რასაც ჰქვია ყველა ავადგამხდარი პაციენტის ჰოსპიტალიზაციის ხარჯების დაფინანსება. პირველადი ჯანდაცვა არის მეკარიბჭე, რომელიც პაციენტს, კარგი გაგებით, აკავებს, კერძოდ, პირველად ჯანდაცვას შეუძლია მსუბუქი პაციენტების შეკავება, სპეციალური ალგორითმის მიხედვით მომზადებულმა ოჯახის ექიმებმა კარგად იციან ის რისკები და საშიშროების ნიშნები, რომლის არსებობის შემთხვევაში პაციენტი სტაციონარში უნდა გადაამისამართონ. გარდა ამისა, ოჯახის ექიმი ქრონიკული დაავადებებით დაავადებულ პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესანარჩუნებლად პრევენციულ ზომებს იღებს, პერიოდულად სინჯავს, უკვე დადგენილი დაავადების შემთხვევებს მართავს, იცის, როდისაა გამწვავების პერიოდები და პაციენტს წინასწარ უტარებს მკურნალობას, რომ ააცილოს თავიდან გამწვავება... აი, ესეთ ნაბიჯებს თუ გადადგმას პირველადი ჯანდაცვა, მაშინ ჩათვალეთ, რომ ჩვენს ჰოსპიტალურ სექტორზე ზეწოლა შემცირდება“.

რამ უნდა უზრუნველყოს DRG-ის დაფინანსების მოდელის გრძელვადიანი ეფექტიანობა

მთავარი წინაპირობა, რაც DRG-ის დაფინანსების მოდელის გრძელვადიან ეფექტიანობას განსაზღვრავს — უწყვეტი და მდგრადი განვითარებაა.

თენგიზ ვერულავა: „ჩვენ განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, DRG-ის დაფინანსების მოდელის დანერგვა 50 წლით დავაგვიანეთ, თუმცა მცდელობა 90-იან წლებში უკვე გვქონდა. დიაგნოზებზე დაფუძნებული, წინასწარ დადგენილი და განფასებული სამკურნალო სტანდარტების, ე.წ. სამედიცინო ეკონომიკური სტანდარტებით დაფინანსების მოდელის საქართველოში დანერგვა ჯერ კიდევ 1995 წელს მიმდინარე ჯანდაცვის რეფორმის დროს დაიწყო. სახელმწიფომ დაადგინა თითოეული ნოზოლოგიური ჯგუფის აუცილებელი სამკურნალო-დიაგნოსტიკური ღონისძიებების მოცულობა, თანმხლები დაავადებები, ჰოსპიტალიზაციის საშუალო ხანგრძლივობა. თითოეული დაავადების (დიაგნოზით მსგავსი) ფაქტიური ხარჯების საფუძველზე დადგინდა თითოეული ნოზოლოგიური ჯგუფის საშუალო ხარჯი. თითოეული სახის სამედიცინო მომსახურება განფასებული იყო წინასწარ განსაზღვრული სტანდარტული სამედიცინო ჩარევის მოცულობის მიხედვით. ამ მომსახურების ფასი დამოკიდებული იყო სამედიცინო პერსონალის მომსახურეობის ობიექტურად საჭირო მოცულობაზე, დიაგნოსტიკური და ლაბორატორიული გამოკვლევების რაოდენობაზე, „საჭირო“ მედიკამენტების და სამედიცინო მასალების ღირებულებაზე. ამის გარდა, ამ სტანდარტულ ფასში ასევე შედიოდა გარკვეული არაპირდაპირი ხარჯებიც, რომლებიც დამოკიდებული იყო სტანდარტით განსაზღვრული სრულფასოვანი მკურნალობისათვის საჭირო საწოლდღეების რაოდენობაზე. სამედიცინო ეკონომიკური სტანდარტებით დაფინანსების მეთოდში გათვალისწინებული იყო ქვეყნის გეოგრაფიული დაყოფა (ქალაქი, რაიონი), სამედიცინო დაწესებულების დონე (ზოგადი პროფილის საავადმყოფო, რეგიონული, ქალაქის და რაიონული საავადმყოფოები). ამგვარად, სამედიცინო ეკონომიკური სტანდარტები აგებული იყო დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით დაფინანსების მეთოდზე. სამწუხაროდ, შემდგომ მოსულმა ახალმა მთავრობამ სამედიცინო ეკონომიკური სტანდარტები გააუქმა. საქართველოს უახლოესი წარსულის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს განვითარება, რომლის მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და გაუმჯობესება, საჭიროებს სისტემურ მიდგომას. სისტემის სრულყოფაზე მიმართული ძალისხმევა მოითხოვს თანმიმდევრულობას, უწყვეტობას და მემკვიდრეობითობას. დაუშვებელია, რომ ის განიცდიდეს გაუთავებელ პერმანენტულ რყევებს. ქვეყანას განსაზღვრული უნდა ჰქონდეს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმირების გრძელვადიანი სტრატეგიული მიმართულებები და სამოქმედო ხედვა, რაც ხელს უწყობს მის ეფექტიან და თანმიმდევრულ განვითარებას. სტრატეგიის შემუშავების პროცესში ჩართული უნდა იყოს დაინტერესებული მხარეების ფართო წრე. გრძელვადიანი პოლიტიკის განსაზღვრა ჯანმრთელობის დაცვის ზეპარტიული კონსესუსის თემა და საგანი უნდა გახდეს. მიუხედავად მთავრობების ცვლისა, სტრატეგიული კურსი კარდინალურად არ უნდა იცვლებოდეს და მიღწეულის უარყოფა პოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილების გამო არ უნდა ხდებოდეს“.

> საქართველოს უახლოესი წარსულის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს განვითარება, რომლის მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და გაუმჯობესება, საჭიროებს სისტემურ მიდგომას.

ნატა ყაზახაშვილი: „DRG-ის დაფინანსების მოდელის გრძელვადიან ეფექტიანობას ოთხი მნიშვნელოვანი ფაქტორი განსაზღვრავს: 1. სამედიცინო პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარება; 2.პაციენტების ინფორმირებულობისა და სამედიცინო კულტურის ამაღლება (პაციენტების დიდი უმრავლესობა სხვადასხვა მიზეზით არ მიმართავს ექიმს, ვიდრე მდგომარეობა ძალიან არ გაუარესდება). 3. დაფინანსების ამ ახალი მოდელის თანმიმდევრული შესწავლა-ანალიზი და უწყვეტი განვითარება. 4. სამედიცინო მომსახურების ხარისხზე ზედამხედველობის არსებული სისტემის ძირეული ცვლილება. აუცილებელია სასჯელებსა და სანქციებზე დაფუძნებული სისტემის ნაცვლად დაინერგოს ანალიზზე დაფუძნებული სისტემა, რომელსაც ბევრი განვითარებული ქვეყანა იყენებს.“

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, საყოველთაო ჯანდაცვაში ჩართული კლინიკების რაოდენობა ცვალებადია, თუმცა ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ამ დროისთვის, პროგრამა მხოლოდ ერთეულმა კლინიკებმა დატოვეს. ნოემბრისთვის ბოლოსთვის იგეგმება ცვლილებების პაკეტის მომზადება, სადაც DRG-ის სისტემაში შესატანი სიახლეები გაიწერება.

იქმნება ერთიანი საინფორმაციო ბაზა სამცხის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ

შურთხია ბეროშვილი

2022 წლის დასაწყისიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბაზაზე ხორციელდება მასშტაბური სამწლიანი პროექტი „სამცხის რეგიონის ისტორიის და კულტურის ძეგლები“, რომელიც დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კვლევის პროგრამის ფარგლებში.

თსუ -ის ასოცირებული პროფესორის ნინო სილაგაძის ინფორმაციით, პროექტი გულისხმობს ისტორიული სამცხის ტერიტორიაზე არსებული ისტორიის და კულტურის ძეგლთა (ეკლესია-მონასტერი, მეჩეთი, სხვა საკულტო ნაგებობები, ციხე-სიმაგრე, კოშკი, ნანგრევი, დარბაზი, დარანი, ისტორიული შენობა-ნაგებობა – აგებული 1921 წლამდე) სრულ აღნუსხვას, ფოტო-ვიდეო-ფიქსაციას, არქიტექტურული გეგმების, ანაზომების და ჭრილების მომზადებას, წარწერების (ეპიგრაფიკული. ლაპიდარული, ნაკაწრი) წაკითხვას და აკადემიურ დონეზე პუბლიკაციას, თითოეულ ძეგლზე ისტორიის და ხელოვნებათმცოდნეობითი ნარკვევის მომზადებას.

აღსანიშნავია, რომ რომ ძეგლთა დაცვის საგენტოს ნუსხაში ამ რაიონის ისტორიის და კულტურის 350 ძეგლია ფიქსირებული, თუმცა მათი რაოდენობა ბევრად მეტია.

„მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც მნიშვნელოვნად იზრდება ციფრული ჰუმანიტარიის როლი, ცალკეული საინფორმაციო ბაზის შექმნა (დარგობრივი, რეგიონული პრინციპით) სასიცოცხლოდ აუცილებელია. ამ მიმართულებით უკანასკნელი 40 წლის მანძილზე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები: გამოიცა მრავალტომეული „საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა აღწერილობა“, რომელმაც დაფარა ჩვენი ქვეყნის სამი რეგიონი (შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი). თუმცა სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კომპლექსური საინფორმაციო ბაზა, არც ნაბეჭდი და არც ელექტრონული სახით, დღემდე არ არსებობს“, – ამბობს ნინო სილაგაძე.

პროექტის ძირითად შემსრულებელთა შორის (ნინო სილაგაძე, ბონდო კუპატაძე, გიორგი ბაგრატიონი) არიან ისტორიული სამხრეთ საქართველოს (ტაო-კლარჯეთის) კულტურული მემკვიდრეობის მკვლევრები, რომელთა მონაწილეობით 2014-2020 წლებში შეიქმნა ტაო-კლარჯეთის ფორტიფიკაციების საინფორმაციო, ბიბლიოგრაფიული და სამეცნიერო-ანალიტიკური ბაზა. მეცნიერთა აზრით, ანალოგიური ტიპის საინფორმაციო ბაზა (ნაბეჭდი და ელექტრონული სახით) საქართველოს თითოეული რეგიონის შესახებ აუცილებელია. სამცხის რეგიონი პრიორიტეტულია

> პროექტის უმთავრესი სიახლეს და ანალოგიურ კვლევებთან შედარებით უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ მისი დასრულებისათვის შეიქმნება ერთიანი საინფორმაციო ბაზა სამცხის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სამეცნიერო წრეებისთვის და ფართო საზოგადოებისთვის ციფრულ ფორმატშიც.

ბევრი მიზეზით: წლების მანძილზე, ცივი ომის პერიოდში, ეს რეგიონი საზღვრისპირა ზონად ითვლებოდა და სისტემური და მასშტაბური საექსპედიციო სამუშაოების წარმოება და კვლევა ყოველთვის ვერ ხერხდებოდა; რეგიონში განსაკუთრებით მრავლადაა კულტურული მემ-

კვიდრეობის ძეგლი, რომელთა საკმაო ნაწილი დაზიანების და განადგურების საფრთხის წინაშეა, ამდენად მათი ლოკალიზება, ფიქსაცია და შესწავლა ფრიად საშური საქმეა.

ნინო სილაგაძის ინფორმაციით, პროექტის უმთავრესი სიახლეს და ანალოგიურ კვლევებთან შედარებით უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ მისი დასრულებისათვის შეიქმნება ერთიანი საინფორმაციო ბაზა სამცხის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სამეცნიერო წრეებისთვის და ფართო საზოგადოებისთვის ციფრულ ფორმატშიც. მომავალი კვლევა მრავალასპექტური იქნება, რადგან სხვადასხვა სპეციალიზაციის მკვლევართა შერეული გუნდი უზრუნველყოფს კულტურის ძეგლების კომპლექსურად შესწავლას, ხელოვნებათმცოდნეობითი, ისტორიული, ისტორიულ-გეოგრაფიული, არქიტექტურული, ეპიგრაფიკული თვალსაზრისით.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2022 წლის ზაფხულში პროექტის ფარგლებში ჩატარდა ორი სამეცნიერო-საველე ექსპედიცია, რომელმაც დიდწილად მოიცვა ადიგენის და ახალციხის მუნიციპალიტეტები. განსაკუთრებით აქტუალურია სამცხის რეგიონის იმ ძეგლების შესწავლა, რომლებიც თავის დროზე საბჭოთა კავშირი-თურქეთის სასაზღვრო პერიმეტრში ექცეოდა და მკაცრი სასაზღვრო რეჟიმის გამო მკვლევართა შესწავლის მიღმა რჩებოდა.

საველე ექსპედიციები ტრადიციულად დაიგეგმა მდინარეთა ხეობების არეალში, შესაბამისად, ხეობის მთლიანი პერიმეტრის დაზვერვით და შესწავლით. ექსპედიციების განმავლობაში მოხდა მდინარე მტკვრის, აგარისწყლის, კალმახისწყლის, ჭარალის, ოცხეს, ქვაბლიანის, ფოცხოვისწყლისა და ურაველის ხეობებში არსებული ყველა ისტორიული ძეგლის (სულ – 180 ძეგლი) ლოკალიზაცია, ფოტოფიქსაცია, აზომვა, არქიტექტურული ნახაზის, გეგმის და ჭრილის შედგენა. სამომავლოდ თითოეულ ძეგლზე მომზადდება კომპლექსური სტატია, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ძეგლის ისტორია, ისტორიულ-გეოგრაფიული გარემო, შესწავლის ისტორია, არქიტექტურა, ფერწერა, ეპიგრაფიკა, ძეგლთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობა და არტეფაქტები. 2023 წელს იგეგმება კიდევ ოთხი ექსპედიცია ახალციხის და ასპინძის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. პროექტის დასასრულს, სამივე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიის და კულტურის ძეგლები ანბანური თანმიმდევრობით თავს მოიყრის ორენოვან ენციკლოპედიურ ნაშრომში „სამცხის ისტორიის და კულტურის ძეგლები“.

ექსპედიციის შედეგები უკვე აისახა რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომში მნიშვნელოვანია, რომ მკვლევართა გუნდი შედგება ახალგაზ-

რდა მეცნიერებისგან: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი გიორგი ჩილინგარაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი ელისაბედ უგულავა, რომლებისთვისაც მსგავს პროექტებში მონაწილეობა მნიშვნელოვანი გამოცდილებაა მომავალი საქმიანობისათვის. ასეთი პროექტები კიდევ ერთხელ ადასტურებს თსუ-ს სამეცნიერო ტრადიციების მდგრადობას და უწყვეტობას.

თსუ-ს მეცნიერები ჯავახეთის რეგიონის დეტალურ კვლევაზე მუშაობენ

მაია ტორაძე

„საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების სოციო–კულტურული მახასიათებლები და სასაზღვრო ურთიერთობები – ჯავახეთი“ – ასე ჰქვია პროექტს, რომელიც 2022 წელს შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა.

პროექტით გათვალისწინებული კვლევის პირველი ეტაპი უკვე დასრულდა. მეცნიერ-მკვლევრებმა შეისწავლეს ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები. შეიკრიბა საველე მასალა ჯავახეთისა და სამცხის სასაზღვრო მხარეების თანამედროვე ვითარების შესახებ.

პროექტის განხორციელებაში ჩართულნი არიან თსუ-ს პროფესორი ქეთევან ხუციშვილი (კოორდინატორი), ასოცირებული პროფესორი როზეტა გუჯეჯიანი, ეთნოლოგიის დოქტორი მირიან ხოსიტაშვილი, დოქტორანტი ბორის კომახიძე, ლოგისტიკის ხელმძღვანელი და თარჯიმანი გიორგი ირემაძე. პროექტის თანამონაწილეა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

როგორც პროექტის მონაწილე მეცნიერ-მკვლევარმა, თსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა როზეტა გუჯეჯიანმა გვითხრა, პროექტი მიზნად ისახავს ჯავახეთის, როგორც სასაზღვრო ზონის, სოციო-კულტურული მახასიათებლებისა და რეგიონზე საზღვრის, როგორც ფიზიკური რეალიის, გავლენის შესწავლას: „საზღვრებთან მიმართებით ჯავახეთის სოციო-კულტურული ყოფა აქამდე შესწავლილი არ ყოფილა. ამიტომ ეს პროექტი წარმოადგენს მნიშვნელოვან სიახლეს როგორც რეგიონული, ასევე საზღვრის კვლევების თვალსაზრისით. – აღნიშნა მან.

პროექტის ფარგლებში უკვე ორი ექსპედიცია განხორციელდა: ერთი საქართველოს ფარგლებში დარჩენილ ჯავახეთში, ხოლო მეორე – თურქეთის რესპუბლიკის ნაწილში მოქცეულ ფოცხოვისწყლის ხეობასა და ჩრდილის მხარეში (არტაანის რეგიონი). მკვლევრებმა შეისწავლეს, თუ როგორია საქართველოს სამხრეთ სასაზღვრო რეგიონის – ჯავახეთის სოციო-კულტურული ყოფა, რა გავლენას ახდენს მასზე სასაზღვრო ურთიერთობები, ქმნიან თუ არა საზღვრები სპეციფიკური ტიპის კულტურას და განვითარების რა ტენდენციები იკვეთება. ასევე გამოიკვლიეს და გაანალიზდა თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეული ისტორიული ჯავახეთის სოციო-კულტურული მახასიათებლები, საზღვრის გახსნის გავლენა ყოფით ურთიერთობებსა და ეკონომიკის განვითარებაზე.

კვლევის ამ ნაწილში ყურადღება გამახვილ-

> მთის საძოვრების რაციონალური გამოყენება ხელს შეუწყობს ტრადიციული ნახევრადმომთაბარეული მესაქონლეობის (მსხვილფეხა საქონელი, ცხვარი, თხა) კვლავ აღორძინებას. მორწყვის სისტემის მოწესრიგება კი გაზრდის ტრადიციული ტერასების აღდგენის შესაძლებლობას.

და სოფლის მეურნეობის განვითარების შემაფერხებელ გარემოებათა კვლევაზეც. როგორც მეცნიერ-მკვლევრები აღნიშნავენ, ერთ-ერთ ასეთ პრობლემად წარმოჩნდა მთის საძოვრების ათვისება-ექსპლუატაციის საკითხი, რასაც გამოასწორებს საზაფხულო იალაღებთან მისასვლელი გზების აღდგენა ან გაყვანა. მათი აზრით, მთის საძოვრების რაციონალური გამოყენება ხელს შეუწყობს ტრადიციული ნახევრადმომთაბარული მესაქონლეობის (მსხვილფეხა საქონელი, ცხვარი, თხა) კვლავ აღორძინებას. მორწყვის სისტემის მოწესრიგება კი გაზრდის ტრადიციული ტერასების აღდგენის შესაძლებლობას.

როზეტა გუჯეჯიანის თქმით, მკვლევართა აღნიშნულ ჯგუფს ტერასული მეურნეობის განვითარება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქმედ ესახება. ისინი აღნიშნავენ, რომ ტერასების აღდგენა, რომელიც ხორციელდებოდა 1977-1978 და 2010-2012 წლებში, დადებითად აისახა მოსახლეობის ადგილზე დამაგრების პროცესზე. ტერასების აღდგენასთან კავშირშია მებაღეობის განვითარებაც.

მემინდვრეობის განვითარების მხრივ, მკვლევრებმა შეისწავლეს ნიალის მინდვრებზე ხორბლის მოყვანის ტრადიციები. მათ აღნუსხეს ხორბლის ადგილობრივ ჯიშთა დღემდე შემონახული სახეობები, შეისწავლეს ტრადიციული კვებითი კულტურა (თუთის ტყლაპი, თუთის ბაქმაზი, თუთის მურაბა, თუთიხმელი, ყველის დედა, გადაზელილი ყველი, ბატის ხინკალი, თუთმაჯი, თათარბერაგი, ერიშტა, მაკარლამა (ყველმოყრილა), წეროხინკალი (ბალიშა ხინკალი), პეპელახინკალი, ყურუთი, ყველის დედა, აგრეთვე თუთის არაყი), შეკრიბეს მასალა ტრადიციული ხალხური მედიცინის შესახებ.

ჯგუფის მიერ, პროექტის ფარგლებში, პირველად იქნა შესწავლილი ახალი საკვლევი პრობლემა: კარწახის საბაჟოს გახსნის შედეგად დამყარებული სასაზღვრო ურთიერთობის ფორმები და საზღვრის გახსნის გავლენა ჯავახეთის ორივე ნაწილის (საქართველო და თურქეთი) მოსახლეობის ყოფაზე. მათ იკვლიეს რელიგიური ვითარება, ხალხური დღეობები და რელიგიური რიტუალები, საოჯახო ყოფის თავისებურებები, ქორწინების, დაკრძალვის ტრადიციები, სოციალური ურთიერთებებისა და სოლიდარობის ფორმები. ასევე – ეთნიკური მრავალფეროვნე-

ბის ამსახველი ეთნოგრაფიული რეალიები და მშვიდობიანი თანაარსებობის ტრადიციული ფორმები. ყურადღება გამახვილდა ჯავახეთში აღორძინებული მართლმადიდებელი ეკლესია-მონასტრების სოციო-კულტურულ და საგანმანათლებლო ასპექტებზე. გამოვლინდა, რომ დადებითი შედეგის მომტანია სახელმწიფო პროგრამები, რომელთა დახმარებითაც ადგილობრივ ეთნიკურ სომეხთა შორის გაზრდილია სახელმწიფო ენის მცოდნეთა რიცხვი.

„ამ ეტაპზე მიმდინარეობს საველე ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად მოპოვებული მასალის დამუშავების პროცესი. საბოლოო შედეგი კი იქნება მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელშიც შევა რეგიონის ზოგადი დახასიათება; საისტორიო წყაროთა და სამეცნიერო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა; დასახლების ტიპის; საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების; სამეურნეო კულტურის, მეურნეობის დამხმარე დარგების; საოჯახო ყოფის, ქორწინებისა და დაკრძალვის ტრადიციების, სოლიდარობის ფორმების; რელიგიური ვითარების; ეთნიკური მრავალფეროვნებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ტრადიციული ფორმების; პოსტსაბჭოთა პერიოდის სირთულეების; ტრადიციული კულტურისა და თანამედროვე ვითარების ურთიერთმიმართებისა და სასაზღვრო კომუნიკაციის აღწერა-ანალიზი“, – გვითხრა როზეტა გუჯეჯიანმა.

კვლევის ფარგლებში ასევე იგეგმება მჭიდრო თანამშრომლობა ახალციხის, ყარსის, არზრუმისა და არტაანის უნივერსიტეტებთან.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲞᲐᲠᲝᲓᲝᲜᲢᲝᲚᲝ�გᲘᲐᲨᲘ – ᲓᲘᲐ�გᲜᲝᲡᲢᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘ

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ქეთევან გოგილაშვილისა და თეა ნაცვლიშვილის ავტორობით პაროდონტოლოგიაში, ორ ტომად, ახალი სახელმძღვანელო – „კლინიკური პაროდონტოლოგია“ და „პაროდონტის დაავადებათა მკურნალობის არაქირურგიული და ქირურგიული მეთოდები“ გამოიცა. სახელმძღვანელო 4 წლის განმავლობაში მზადდებოდა.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲨᲘ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲝᲓᲝᲜᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲔᲠᲘᲘᲛᲠᲚᲐᲜᲢᲣᲠᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲐᲡᲐᲮᲣᲚ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲜᲝᲛᲔᲜᲙᲚᲐᲢᲣᲠᲐ. ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲛ ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲰᲔᲓᲕᲘᲗ ᲔᲕᲠᲝᲠᲞᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲘᲓᲚᲐᲘᲜᲔᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗᲐᲐ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ. ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲣᲙᲕᲔ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲡ�წᲐᲕᲚᲝ ᲙᲣᲠᲘᲙᲣᲚᲣᲛᲨᲘ.

„ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲓᲐ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲓᲝᲜᲔᲛ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲐ ᲞᲐᲠᲝᲓᲝᲜᲢᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲚᲔᲑᲣᲠᲘ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲘᲗ �გᲐᲓᲐᲭᲠᲐ. ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲨᲘ, ᲔᲠᲗᲘ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲔᲢᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲝᲓᲝᲜᲢᲝᲚᲝ�გᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲔ�გᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲙᲘ – ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲡ ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲘ ᲗᲣ ᲛᲘᲡᲘ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘᲐ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐᲡᲗᲐᲜ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲓᲐ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲣᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲞᲐᲗᲝᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲮᲡᲜᲐᲡ;

ᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲨᲘ, ᲔᲠᲗᲘ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲔᲢᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲝᲓᲝᲜᲢᲝᲚᲝ�გᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲔ�გᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲙᲘ – ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲡ ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲘ ᲗᲣ ᲛᲘᲡᲘ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘᲐ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐᲡᲗᲐᲜ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲓᲐ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲣᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲞᲐᲗᲝᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲮᲡᲜᲐᲡ; ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲔᲡ ᲙᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲮᲔᲚᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲢᲝᲛᲐᲢᲝᲚᲝ�გᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲐᲨᲘ“, – ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲖᲜᲔ ᲐᲣᲓᲘᲢᲝᲠᲘᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘᲡ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲐᲜᲓᲠᲔᲐ ᲞᲘᲚᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲘᲔᲜᲪᲐᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲦᲠᲣᲡ ᲓᲐ ᲧᲑᲐ-ᲡᲐᲮᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲐᲠᲝᲓᲝᲜᲢᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲝᲰᲐᲘᲝᲡ (ᲐᲨᲨ) ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲐᲠᲝᲓᲝᲜᲢᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲐ, ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲝᲓᲝᲜᲢᲝᲚᲝ�გᲘᲐ“ (ᲢᲝᲛᲘ I) ᲓᲐ „ᲞᲐᲠᲝᲓᲝᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ“ (ᲢᲝᲛᲘ II) ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲑᲝᲚᲝ ᲐᲗᲬᲚᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲘᲡᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲛ ᲡᲢᲝᲛᲐᲢᲝᲚᲝ�გᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲞᲐᲠᲝᲓᲝᲜᲢᲝᲚᲝ�გᲘᲐ ᲡᲐᲔᲥᲘᲛᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ.

„ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ ᲞᲐᲠᲝᲓᲝᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲣᲠ ᲮᲔᲚᲬᲔᲠᲐᲖᲔ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲡ ᲛᲘᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ-ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲔᲑᲘ, ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘᲐ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ. ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲔᲥᲘᲛ ᲛᲐᲠᲘ ᲛᲐᲚᲐᲖᲝᲜᲘᲐᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲝᲑᲘᲗ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲨᲔᲡᲣᲚᲘᲐ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲗᲐᲕᲘ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ – „ᲙᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲦᲠᲣᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ“.

„ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲡ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ – �თᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲫᲚᲝᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲢᲘᲕᲘᲠᲔᲑᲐ, ᲐᲜᲣ ᲞᲐᲠᲝᲓᲝᲜᲢᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲣᲛᲐᲢᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲘ ᲬᲘᲚᲘ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲣᲒᲣᲚᲔᲑᲔᲚᲧᲝᲤᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲓᲔᲡ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲡ, ᲛᲝᲢᲘᲕᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐᲬᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲕᲐᲫᲚᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘ – ᲠᲝ�გᲝᲠ ᲛᲝᲕᲘᲥᲪᲔᲗ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲗᲐᲜᲐᲮ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲕᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲛᲝᲮᲓᲔᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲐ. ᲮᲐᲡᲒᲐᲡᲛᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ. ᲒᲐᲜᲕᲛᲐᲠᲢᲐᲕᲗ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲘᲫᲘᲝᲡ ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲠᲩᲔᲡ ᲛᲘᲣᲙᲔᲠᲫᲝᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲔᲥᲪᲔᲡ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘᲡᲐ ᲗᲣ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ. ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲡ�წᲐᲕᲚᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ, ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ“, – ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲥᲔ�თᲔᲕᲐᲜ �გᲝ�გᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ – „ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲝᲓᲝᲜᲢᲝᲚᲝ�გᲘᲐ“ ᲓᲐ „ᲞᲐᲠᲝᲓᲝᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘ“ ᲞᲐᲠᲝᲓᲝᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲐ�გᲜᲝᲡᲢᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲓᲐᲚᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲨᲘ ᲔᲕᲠᲝᲠᲞᲘᲡ ᲞᲐᲠᲝᲓᲝᲜᲢᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜ�გᲠᲔᲡᲖᲔ 2018 �წᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲘᲜᲔᲡ ᲓᲐ 2020 ᲬᲚᲘᲡ �გᲐᲛᲝᲡᲪᲔᲡ. ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲝᲡᲢ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ �გᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡ�წᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲪ, ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ, ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ.

„ᲞᲐᲠᲝᲓᲝᲜᲢᲝᲚᲝ�გᲘᲐ ᲡᲢᲝᲛᲐᲢᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲓᲐ – ᲒᲕᲘᲧᲕᲔᲑᲐ ᲥᲔ�თᲔᲕᲐᲜ �გᲝ�გᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲗᲐᲜ ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ“.

ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲡᲗᲐᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲢᲘᲕᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲡᲢᲝᲛᲐᲢᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ „ᲐᲚᲑᲘᲣᲡᲨᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲡ�წᲐᲕᲚᲝ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲐᲖᲐᲐ, ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲞᲐᲠᲝᲓᲝᲜᲢᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ.

„ᲛᲔ ᲓᲐ �თᲔᲐ ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲬᲐᲕᲔᲓᲘᲗ ᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲘᲔᲜᲪᲐᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲓᲐ ᲝᲰᲐᲘᲝᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ, ᲨᲔᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗ ᲘᲥᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲒᲔᲒᲛᲐ, ᲠᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗᲐᲪ „ᲐᲚᲑᲘᲣᲡᲨᲘ“ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ ᲨᲔᲕᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ. ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲐᲓ, ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲔᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ. ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲖᲐ ᲒᲐᲕᲘᲐᲠᲔᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ“, – ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ �გᲝ�გᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲞᲐᲠᲝᲓᲝᲜᲢᲝᲚᲝ�გᲘᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ �გᲝ�გᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲔᲐ ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ, 4 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ �გᲐᲛᲝᲡᲪᲔᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ 2018 ᲬᲔᲚᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐᲪ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲝᲠᲢᲝᲛᲔᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲛ ᲒᲐᲛᲬᲘᲤᲕᲔᲕᲐᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲘᲛ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ ᲕᲐᲙᲣᲣᲛᲡ ᲐᲕᲡᲔᲑᲡ, ᲠᲐᲪ ᲞᲐᲠᲝᲓᲝᲜᲢᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐ�გᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ.

„ᲩᲕᲔᲜ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ – ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ, ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ ᲛᲝᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ, ᲠᲐᲪ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲘᲛᲐᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲜᲘᲨ

თსუ-ს დასავლური ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტი რუსუდან ენუქიძეს ემშვიდობება

„შემოფრქვევით შემომეგება ერთი ასული – რუსუდან ენუქიძე“ - წერდა 60-იან წლებში გრიგოლ რობაქიძე, რომელიც ლოზანაში ნინო რამიშვილის და ილიკო სუხიშვილის კონცერტებს და რეპეტიციებს დაესწრო. ახალგაზრდა რუსიკო ენუქიძესაც იქ შეხვდა, რომელიც მაშინ სუხიშვილების ანსამბლის სოლისტიც იყო და თან თარჯიმნის მოვალეობასაც ითავსებდა ანსამბლის უცხოეთში გასტროლების დროს. გრიგოლ რობაქიძე მოიხიბლა მისი მშვენიერებითა და გაოცდა, რომ ახალგაზრდა ქალი მის შემოქმედებას იცნობდა, რომელიც საბჭოთა საქართველოში აკრძალული იყო.

დიახ, რუსიკო ენუქიძე ის ადამიანი იყო, რომელშიც ერთდროულად შენივთებული იყო უმშვენიერესი გარეგნობა და ძლიერი ინტელექტი, რაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა ყველაზე, თვით გრიგოლ რობაქიძესავით მრავლის მნახველ ადამიანზეც კი. ამიტომ რა გასაკვირია, რომ მისი პიროვნული მომხიბვლელობა ვრცელდებოდა მის კოლეგებსა და ნაცნობებზე, ყველაზე მეტად კი, რა თქმა უნდა, მის სტუდენტებზე.

განუზომელია მისი ღვაწლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასავლური ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის, კერძოდ, ინგლისური ფილოლოგიის დარგის განვითარებასა და ახალგაზრდა სპეციალისტების მრავალი თაობის აღზრდის საქმეში. თავდაპირველად, რუსუდან ენუქიძე 70-იან წლებში ინგლისურ ენას ასწავლიდა მომავალ ანგლისტებს. მაშინ თავადაც ახალგაზრდა ლექტორი იყო, რომელიც სტუდენტებს უზომოდ გვიყვარდა. ყველა ერთხმად ვთანხმდებოდით, რომ არავინ ლაპარაკობდა ინგლისურად მასავით კარგად, არავის ეცვა მასავით ელეგანტურად და დახვეწილი გემოვნებით. ყველაზე ლამაზი რომ იყო — ამას ხომ მთელი თბილისი აღიარებდა.

1984 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მხატვრული ქრონოტოპი და მისი ლინგვისტური ორგანიზაცია'', ხოლო 1991 წელს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ლინგვისტური პრაგმატიკა და მხატვრული ტექსტის პროცესუალობა''. შემდეგ ორივე ნაშრომი მონოგრაფიის სახით დაიბეჭდა: „დროულ — სივრცობრივ მიმართებათა ლინგვისტური ორგანიზაცია მხატვრულ ტექსტში (ინგლისურ-ამერიკული მოთხრობის მასალაზე)“. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984; და „ლინგვისტური პრაგმატიკა და მხატვრული ტექსტის პროცესუალობა (ინგლისურ-ამერიკული მოთხრობის მასალაზე)“. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990.

ქალბატონი რუსიკო იყო პირველი, ვინც ლინგვოსტილისტიკის სწავლება და კვლევა დაიწყო საქართველოში. დარწმუნებული ვარ, რომ მისი ბევრი სტუდენტი იტყვის, რომ სტუდენტობის წლებში პირველად მისგან გაიგონა ბევრი რამ, რასაც მერე მიუბრუნდა საკვლევად: მხატვრული დრო, ქრონოტოპი, მხატვრული ტექსტის თხრობითი დინამიკა. დღეს თუ ჩვენი სტუდენტები თამამად საუბრობენ ლინგვოსტილისტიკის ურთულეს საკითხებზე, ეს იმისი დამსახურებაა, რომ 70-იან წლებში რუსიკო ენუქიძემ ჩაუყარა საფუძველი ამ მიმართულებით კვლევას.

რუსიკო ენუქიძე იყო ინგლისური ფილოლოგიის კათედრის გამგე, საქართველოს დამსახურებული არტისტი, დაჯილდოვებული იყო ივანე ჯავახიშვილისა და ღირსების ორდენით, იყო ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების (LSA) წევრი.... ალბათ კიდევ ბევრი სხვა ჯილდო და რეგალიაც ექნებოდა, თუმც არა მგონია, რომ ამას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის, ან მათთვის, ვინც რუსიკო ენუქიძეს იცნობდა. რადგან მის მშვენიერებასა და გონიერებასთან შედარებით ყველა ჯილდო და თანამდებობა უფერული ჩანდა.

უზომოდ უკომპრომისო და პრინციპული ადამიანი იყო. მკაცრი და ზოგჯერ ჯიუტიც. ძალიან მკაცრი ზნეობრივი პრინციპებით ცხოვრობდა და ყველასგან იგივეს ელოდა. ამიტომ მასთან ურთიერთობა დიდი ბედნიერებაც იყო და ძნელიც, ამავდროულად, რადგან მუდმივად მაღალ თამასაზე გვიწევდა ყველას სწორება, სულერთია, მეცნიერებას შეეხებოდა ეს, სწავლებას, თუ ყოველდღიურ ცხოვრებას. თვითონ მას არასდროს გასჩენია ცდუნება, ოდნავ მაინც რაიმეთი ესარგებლა საკუთარი კეთილდღეობისათვის. სამაგიეროდ, ხმალამოღებულს შეეძლო ებრძოლა თავისი კოლეგებისა და სტუდენტების დასაცავად. დარწმუნებული ვართ, ბევრ მის ახალგაზრდა კოლეგას ახსოვს მისი მხარდაჭერა, გამხნევება, მის პროფესიულ ზრდაზე ზრუნვა. რუსიკო ენუქიძე იყო ადამიანი, რომელსაც სხვისი წარმატება ისე ახარებდა, როგორც თავისი. იშვიათად თუ მოიძებნება შურისგან ასე აბსოლუტურად დაცლილი ადამიანი. თუმც ისიცაა: ვისი რა შეიძლება შეშურებოდა, როცა ყველაფერი ჰქონდა: ნიჭიერება, სილამაზე... ჰყავდა მეუღლე — საქვეყნოდ ცნობილი ფილოსოფოსი და უნიჭიერესი შვილები.

2010 წლიდან რუსიკო ენუქიძე ემერიტუს პროფესორი გახდა, ხოლო ბოლო ათი წელი შვილის ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ სრულიად ჩამოშორდა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას და სახლში ჩაიკეტა. მიუხედავად ამისა, მისი არსებობა, როგორც სამეცნიერო და პედაგოგიური მეტრის, მუდმივად იგრძნობოდა. მისი გარდაცვალებით თითქოს დაიხურა ძალიან ლამაზი და ნათელი ფურცელი, რომელიც მუდამ გვემახსოვრება, როგორც ნიმუში ღირსეულად განვლილი ცხოვრებისა.

გემშვიდობებით, უმშვენიერესო ქალბატონო.

თსუ, დასავლური ენებისა და ლიტერატურის ს/ს ინსტიტუტი.

გალანტური, მუდამ ხალისიანი, სტუდენტების საყვარელი ლექტორი

ნიკო ლეონიძის გახსენება

ბატონო ნიკო! — ასე მივმართავდი ადამიანს, რომელთანაც უნივერსიტეტში გატარებული მრავალწლიანი ურთიერთობა მაკავშირებდა — ჯერ, როგორც სტუდენტს, მერე — ასპირანტს და ბოლოს — თანამშრომელს. თითქმის ყველა ეტაპზე ბატონი ნიკო ჩემი მასწავლებელი და მრჩეველი იყო. ასპირანტურაში ჩაბარებაც მან მირჩია. მახსოვს, უკვე ტელე-რადიოკომიტეტში, რადიოს ლიტერატურულ გადაცემათა რედაქციაში ვმუშაობდი, სადაც თსუ-ს ტელე-რადიოკათედრას თავისი ოთახი ჰქონდა გამოყოფილი სტუდენტების სტაჟირებისთვის და ბატონი ნიკო ხშირად მოდიოდა. სწორედ იქ, რედაქციაში მომაკითხა, ტელე-რადიო მიმართულების ასპირანტურაში ერთი ადგილი მოგვცეს და ხომ არ იფიქრებდი ჩაბარებაზეო. ამაზე უკეთესს რას ვინატრებდი! მოულოდნელიც კი იყო ასეთი შემოთავაზება და ერთ კვირაში უკვე თემის სათაურითაც მივადექი — მაშინ ქართულ ტელესივრცეში ახალი ჟანრი, სატელევიზიო ფილმები იკიდებდა ფეხს. თანაც, სოსო ჩხაიძის „თუში მეცხვარე“ უკვე ეკრანებზე იყო გამოსული და ერთგვარი სტიმული მომცა სადისერტაციო თემად ამერჩია. ცოტა ვიჩქარე და რეჟისორთან ინტერვიუზეც კი ვიყავი შეთანხმებული, მაგრამ ბატონმა ნიკომ აზრი შემაცვლევინა. რადიოში მუშაობ და ნუთუ არ არის დრო, საქართველოს რადიოს ისტორია შევისწავლოთ, სწორედ შენ უნდა მოკიდო ამ საქმეს ხელიო და მეც დავთანხმდი. გეგმაც დავსახეთ და ბატონმა ნიკომ ერთ-ერთ ოპონენტად მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელე-რადიო კათედრის გამგის ვ. რუჟნიკოვის მოწვევა გადაწყვიტა. დროდადრო სემინარებზეც „მიშვებდა“ — ლექტორობის გამოცდილებას შეიძენო.

ასპირანტურა წარმატებით კი დავასრულე, თუმცა დაცვის თარიღმა რამდენიმე წლით გადაიწია. ამის მიზეზი 90-იანი წლების ბოლოს ქვეყანაში აზვირთებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურება და შედეგად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო, რომელშიც მეც ჩავერთვე და სამეცნიერო საქმიანობა გვერდზე გადავდე, დროებით „გადავიკარგე“. ბატონი ნიკოც დროდადრო მეხმიანე-ბოდა, მაგრამ არ მსაყვედურობდა. სხვათაშორის, არ იყო „მკაცრი“ ლექტორი და არც დიდად მომთხოვნი ხელმძღვანელი, გაბრაზებული არასდროს მინახავს, სულ ღიმილით მელაპარაკებოდა და ისიც კარგად ესმოდა, ქვეყანაში რა მოვლენები ვითარდებოდა.

ერთხელ შემომითვალა აუცილებლად მნახეო. მივედი. ჯერ საუბარი პოლიტიკურ მოვლენებზე დაიწყო და ბოლოს აკაკი ბაქრაძის წერილზე „ჩვენ არ წავალთ მოსკოვში“ ჩამოაგდო სიტყვა. ეს წერილი უკვე კარგა ხნის გამოქვეყნებული იყო, მაგრამ გაიხსენა და მითხრა, მგონი საქმე იქით მიდის, შენც „არ წახვალ მოსკოვში“, ალბათ, დისერტაციის გაგზავნა აღარ მოგიწევს და არც რუსი ექსპერტი დაგჭირდებაო (მაშინ სადისერტაციო ნაშრომი რუსულ ენაზე უნდა თარგმნილიყო, მოსკოვში გაგზავნილიყო და სპეციალური საკავშირო საატესტაციო საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ შეიძლებოდა ადგილზე დაცვა). მართალიც აღმოჩნდა, არც რუსულად მითარგმია, არც მოსკოვი „შემინუხებია“ და ქართველმა პროფესორებმაც შესანიშნავად შეაფასეს ჩემი ნაშრომი.

ბატონი ნიკო კმაყოფილი იყო და სულ ასეთი მემახსოვრება — გალანტური, მუდამ „ფორმაში“, ხალისიანი და სტუდენტების საყვარელი ლექტორი.

ნანა ტალახაძე,
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

როგორ იხსენებენ პროფესორ ამირან გაგნიძეს მისი ალზრდილები

5 ოქტომბერს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის გამორჩეული პროფესორი — ამირან გაგნიძე გარდაიცვალა.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი (1992 წ), პროფესორი ამირან გაგნიძე 1936 წელს დაიბადა. დაამთავრა თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტი. წლების განმავლობაში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (1960-1966 წწ), მოსახლეობის მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუქტურის შესწავლის საკავშირო ს/კ ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილე; 1965 წლიდან საათობრივი ანაზღაურების წესით მუშაობდა თსუ-ის ვაჭრობისა და მატერიალურ ტექნიკური მომარაგების ეკონომიკის კათედრაზე, 1977 წლიდან მუშაობდა თსუ-ში დოცენტად, შემდეგ პროფესორად, ჯერ კომერციის ფაკულტეტზე, ხოლო შემდგომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე. 1996 წლიდან იყო სადისერტაციო საბჭოს წევრი და ამავე საბჭოს სწავლული მდივანი. მუშაობის პერიოდში ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. ჰქონდა გამოქვეყნებული 70 სამეცნიერო ნაშრომი, 3 მონოგრაფია, 10-მდე ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელო, ლექციების კურსი. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა 7 საკანდიდატო დისერტაცია, 12 სამაგისტრო ნაშრომი. იყო 10-მდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის ოპონენტი, რამოდენიმე სახელმძღვანელოს რედაქტორი და რეცენზენტი. 2009 წლიდან, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, გავიდა პენსიაზე.

„ბატონ ამირანს სტუდენტობის წლებიდან ვიცნობ. ის მესამე კურსზე სპეციალობის ერთ-ერთ საგანს გვასწავლიდა. თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ბატონ ამირანს ახალგაზრდებთან ურთიერთობის კარგი უნარი ჰქონდა. ალბათ ამიტომ არ მახსენდება ლექცია-სემინარებზე მისი ხმამაღლა ნათქვამი სიტყვა. მისი სიმშვიდე და გაწონასწორებული ხასიათი დადებითად მოქმედებდა აუდიტორიაზე — სტუდენტები მშვიდად იყვნენ და ხელს არ უშლიდნენ არც ერთმანეთს და არც პედაგოგს მუშაობის პროცესში.

ბატონი ამირანი თავისი შრომისმოყვარეობით ჩვენზე დადებითად მოქმედებდა. ჩემი სტუდენტობის პერიოდში ფაკულტეტზე აქტიურად მუშაობდა სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომლის სხდომებზეც სტუდენტები მოხსენებებს ვაკეთებდით ეკონომიკის პრობლემურ საკითხებზე. ერთ-ერთ სხდომაზე, ბატონ ამირანის ხელმძღვანელობით, მეც გავაკეთე მოხსენება. ძალიან კარგად მახსოვს, როგორ დაწვრილებით ამიხსნა მან ლიტერატურის მოძიების და დამუშავების წესი, საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირებისა და დადასტურების საჭიროება. ამის გამო მე მისი მადლობელი ვიყავი ყოველთვის.

ბატონი ამირანი იყო ძალიან კარგი კოლეგა. ის ყოველთვის მზად იყო დახმარებოდა მას, ვისაც სჭირდებოდა. უნდა ითქვას, რომ ბატონმა ამირანმა ბოლომდე შეინარჩუნა დადებითი თვისებები. კოლეგებს, აღზრდილებს ის ყოველთვის გაახსენდებათ როგორც შრომისმოყვარე და კეთილმოსურნე პროფესორი, რომელიც არასოდეს არ კარგავდა ზომიერების გრძნობას. უფალმა დაამკვიდროს მისი სული იქ, სადაც მართალნი განისვენებენ“, — წერს თავის მოგონებაში თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მარკეტინგის კათედრის ასოცირებული პროფესორი ბაბულია (დოდო) მღებრიშვილი.

ᲥᲔᲗᲘ ᲗᲣᲗᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲘᲕᲠᲘ

ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

წელს, 1 საქტემბერს, 45 წელი შესრულდა, რაც ქეთევან თუთბერიძეს – უნივერსიტეტის პრორექტორების, კანცლერების შეუცვლელ თანაშემწეს „ჩვენს ქეთის“ ვეძახით. უნივერსიტეტში მის მოხსენიებას არც გვარი სჭირდება და არც რეგალიები...

„ყველამ იცის, სტუდენტმაც და პროფესორმაც, რომ მასთან ყველაფერზე შეიძლება დაიჩივლო და „საიდუმლოც“ კი ანდო, გონივრული რჩევა მიიღო და უკვე დამშვიდებული შეხვიდე ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან...“

მისი პირველი შთაბეჭდილება უნივერსიტეტზე ბავშვობის წლებს უკავშირდება. დედა პედაგოგი ჰყავდა, რომელთან ერთადაც ამ შენობასთან ხშირად გავლა უწევდა და რომელიც ყოველთვის ახსენებდა: „ეს ჩვეულებრივი შენობა არ გეგონოს, ეს ცოდნის დიდი ტაძარია და აქ მოხვედრა უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა“-ო. ამბობს, რომ ბავშვობის მძაფრი ემოცია არ განელებულა და დღემდე ამ განცდით მოდის „თავის უნივერსიტეტში“.

ბევრ უნივერსიტეტელს დღესაც ახსოვს მკაცრი და შეუვალი პრორექტორი გურამ ჭილაშვილი – გამორჩეული თავისი განათლებით თუ გარეგნობით, ყელზე კოპლებიანი „ბაბოჩკით“... მისი გამოხედვაც კი საკმარისი იყო, რომ მოწიწება და ერთგვარი შიში გამოეწვია. პირველად სწორედ მასთან მოხვდა 17 წლის სტუდენტი გოგონა – ქეთევან თუთბერიძე თანაშემწის მოვალეობის შემსრულებლად.

გული წყდება, რომ სამეცნიერო მიმართულებით მუშაობის გაგრძელება ვერ შეძლო. დისერტაციაც თაროზე დარჩა. ქეთი თავს იმით იმხნევებს, რომ, სამაგიეროდ, კარგი შვილები აღზარდა და სამაგალითო ოჯახი აქვს.

„მოგონებების სკივრში“, სადაც უამრავი ფაქტი და მოვლენა ინახება, მისთვის განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი იყო ყოფილი რექტორის, დიდი მეცნიერის ილია ვეკუას გარდაცვალება. „მისი დაკრძალვის ცერემონიამ ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. მახსოვს, როდესაც იგი უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოიეში დასვენეს... მის ფოტოს ფონად გასდევდა მათემატიკური ფორმულებით სავსე დაფა, რომელიც ცენტრალური კიბის თავზე იყო გამოკრული. ყველა მოწიწებით ეთხოვებოდა დიდ მეცნიერს“...

როდესაც ქეთი ბედნიერ სტუდენტურ წლებს იხსენებს, პირველ რიგში, თავისი მეგობრები და ლექტორები ახსენდება. „საუკეთესო პერიოდი იყო, ფაქტობრივად, აქ „დავსახლდი“, დილის 9 საათზე ვიწყებდი მუშაობას, საღამოს კი ლექციებს ვესწრებოდი. საუკეთესო ლექტორები მყავდა: გრიგერ ფარულავა, ვახტანგ იმნაიშვილი, ნაირა გელაშვილი, გვანცა კოპლატაძე და სხვები. საოცრად მჩქეფარე და სიცოცხლით სავსე წლები იყო“.

სტუდენტობისას სილამაზის კონკურსშიც გაუმარჯვია, რომელიც 1981 წელს ბულგარეთში გამართულა. სწორედ ბულგარეთში იყვნენ წარგზავნილნი უნივერსიტეტიდან წარჩინებული სტუდენტები, რომელთა შორისაც ქეთი თუთბერიძე სილამაზის კონკურსში მონაწილეობდა. საერთაშორისო სილამაზის კონკურსში ქეთი მესამე ადგილზე გავიდა და ჯილდოც მიიღო.

გამორჩეული სიყვარულით იხსენებს ქეთი ნოდარ ამაღლობელთან მუშაობის პერიოდს: „ბატონი ნოდარი, გარდა იმისა, რომ დიდი მეცნიერი იყო, იშვიათი პიროვნება გახლდათ – კეთილშობილი, პატარა ბავშვივით სუფთა ადამიანი. იმ დროს ასეთი წესი იყო: თანაშემწეს ზარის საშუალებით იძახებდნენ, მაგრამ ის ზარს არასდროს იყენებდა, თავად გამოდიოდა, გამოაღებდა კარს და ბოდიშის მოხდით მაძლევდა დავალებას. ვეუბნებოდი, რატომ წუხდებით ასე, დარეკეთ ზარი! არაო – ამბობდა, – ზარი არ მჭირდება, არც ჩემს თავს ვაკადრებ და არც თქვენო! – მპასუხობდა. ძალიან განვიცადე, როდესაც მის ოჯახს დიდი ტრაგედია დაატყდა თავს, შვილი გარდაეცვალა აფხაზეთის ომში, რაც მის ჯანმრთელობაზე აისახა“.

ქეთი მტკივნეულად იხსენებს 90-იან წლებს, რომელიც უნივერსიტეტის ცხოვრებასაც შეეხო. ამ პერიოდში კანცელარიაში საქმის მწარმოებლად მოუწია მუშაობა. კარგად ახსოვს გაყინული აუდიტორიები და მძიმე ფონი, რომლის გადალახვა კოლეგებთან ერთად მოუხდა. რეორგანიზაციის შემდეგ, როდესაც უნივერსიტეტის რექტორად გია ხუბუა აირჩიეს, ადმინისტრაციის სტრუქტურა და მუშაობის სტილიც, გარკვეულწილად, შეიცვალა და ახალი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გულიკო გალდავამ ის სამუშაოდ მიიწვია. ქეთი მას იხსენებს როგორც ძალიან მკაცრ, მაგრამ სამართლიან, გულისხმიერ და თბილ ადამიანს, რომელიც თანადგომის განსაკუთრებული უნარით გამოირჩეოდა. მათ ერთმანეთის მოკითხვა დღემდე არ ავიწყდებათ.

ქეთევან თუთბერიძე ასევე კეთილად იხსენებს შემდგომ კანცლერებს – რომან ხარბედიას, დავით ჩომახიძესა და ნუნუ ოვსიანიკოვას. რაც შეეხება ახალ უფროსს, ქეთი მას უფრო „დედის თვალით“ აფასებს და ამბობს: „ლაშა საღინაძე, პირველ რიგში, კარგად აღზრდილი ახალგაზრდაა, რაც იმის მანიშნებელია, რომ იგი კარგი ოჯახის შვილია. მის ღირსებებზე შემიძლია ბევრი ვისაუბრო, პირველ რიგში, ის თავისი საქმის პროფესიონალი და კარგი ფინანსისტია. ამასთან, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, სტუდენტთან, უფროსთან თუ უმცროსთან ურთიერთობაში არაფერი ეშლება, აქ ყველა იმედიანად მოდის და იციან, რომ მისგან მხოლოდ მხარდაჭერას და დახმარებას უნდა ელოდონ. მინდა – მას კარიერული და პროფესიული წინსვლა ვუსურვო“.

45 – წლიან გამოცდილებას უკვალოდ არ ჩაუვლია. დროთა განმავლობაში იგი კარგ ფსიქოლოგად და დიპლომატად ჩამოყალიბდა. „აქ დალხენილი არავინ მოდის, ხშირად ჩემი გადაუდებელი საქმე გადამიდია და დავლაპარაკებივარ გაღიზიანებულ სტუდენტს, დამიმშვიდებია და უფროსთან ცოტა უფრო დამშვიდებული შემიშვია. როდესაც შეწუხებულ ადამიანს ვხედავ, თავს მოვალედ ვგრძნობ – დავამშვიდო. ხანდახან ვგრძნობ, რომ ძალიან ვიღლები, ვიფიტები, მაგრამ ამას ჩემს მოვალეობად ვთვლი. ბევრჯერ გავუჩერებივარ რომელიმე სტუდენტს და მადლობა გადაუხდია – ამ დროს ყველაზე ბედნიერი ვარ. ხანდახან „გამოწურული ლიმონივით“ ვარ, მაგრამ სხვა გზა არ არის“, – ამბობს ქეთი.

სახლში სამსახურის პრობლემებზე, სამსახურში კი ოჯახის პრობლემებზე არასდროს საუბრობს, მაგრამ ძილის წინ მაინც ეფიქრება სტუდენტებზე – „ნეტავ თუ მოაგვარა თავისი პრობლემა? გადაიხადა თუ ვერ გადაიხადა გადასახადი?“... ასე გრძელდება წლები, სხვანაირად არ შეუძლია.

ოჯახში კარგად იციან ქეთის დამოკიდებულება უნივერსიტეტის და საქმის მიმართ და ყველანაირად უწყობენ ხელს. რა გასაკვირია და მეუღლეც – ვეკუას ინსტიტუტის თანამშრომელი, ფიზიკოსი ვასილ გერსამიაც ამ კედლებში გაიცნო. ბედნიერია, რომ კარგი ოჯახი ჰყავს: ქალიშვილი – თამარ გერსამია წარმატებული იურისტია და დღეს სააუქციონო სახლის დირექტორია; ვაჟი – დავით გერსამია სახელოვნებო სფეროშიც მოღვაწეობს და ეკონომიკის მიმართულებითაც მუშაობს. უდიდეს სიხარულს ანიჭებენ პატარა შვილიშვილები – ნიკოლოზი და თორნიკე. ნამდვილი საუნივერსიტეტო ოჯახი აქვს, ის კი არადა, მეგობრებიც აქ ჰყავს და ამით ბედნიერია.

„უცნაური“ ის არის, რომ ყველას კეთილად იხსენებს, ისეთი სიყვარულით საუბრობს ყველაზე – სტუდენტზე, თანამშრომელზე, უფროსებზე... ამბობს, რომ უნივერსიტეტში ყველა უყვარს და, შესაბამისად, ბუმერანგივით უკან იღებს სითბოს და სიყვარულს. სამუშაო მაგიდის უკან ფანჯრის რაფას სახლიდან მისი მოტანილი ქოთნის ყვავილები ამშვენებს. ცდილობს, მოსაცდელში სასიამოვნო გარემო შექმნას, რა თქმა უნდა, კეთილგანწყობილ ღიმილთან ერთად...

ქეთის დიდი სურვილი აქვს – რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს უნივერსიტეტთან მისი ურთიერთობა. „დიდი მადლობა უნივერსიტეტს! შეიძლება არ დაიჯეროთ – დღემდე „ფეხის წვერებით“ შემოვდივარ უნივერსიტეტში და ისეთივე დიდი მოკრძალება მაქვს, როგორც ბავშვობაში, როდესაც დედამ ეს შენობა პირველად დამანახა... კედლებსაც კი ვეფერები. მადლობა ყველას, ვისაც ვახსენდები. გული მტკივა, რომ ადამიანები ხანდახან ერთმანეთს უპირისპირდებიან და ვერ აცნობიერებენ, რომ მოკვდავები ვართ და ამ ქვეყნიდან ვერაფერს წაიღებენ სიყვარულის გარდა. სანამ ძალა მეყოფა, მინდა სიყვარულით და ერთგულებით ვემსახურო უნივერსიტეტს...“

მოკლედ, „ჩვენი ქეთის“ „საიდუმლო“ არც ისე ძნელი ამოსახსნელი ყოფილა...

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ნინო კაკულია
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲡᲤᲐᲠᲘᲡᲛᲔᲑᲔᲚᲘ
მაია ტორაძე
ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ეკა ბედიაშვილი

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ
თორნიკე ჩხეტიანი

ᲙᲝᲛᲞ. ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ
მიხეილ თვარაძე

ᲠᲔᲓᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ:
მანანა შამილიშვილი,
იაგო კაჭკაჭიშვილი,
ირმა რატიანი,
ირინე დარჩია,
ვლადიმერ პაპავა,
ეთერ ხარაიშვილი,
ეკატერინე ფირცხალავა,
ნინო გაჩეჩილაძე,
თემურ ნადარეიშვილი,
ლელა ჯანაშვილი,
მაია ივანიძე,
მამუკა მარგველაშვილი,
გია ლობჟანიძე,
ნატა ასათიანი,
მარინა სალუქვაძე

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
2 22 36 62

ᲕᲔᲑᲒᲕᲔᲠᲓᲘ:
tsu.media

ᲔᲚ.ᲤᲝᲡᲢᲐ:
nino.kakulia@tsu.ge

2017 ᲬᲚᲘᲡ
1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ
ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ „ᲣᲜᲘ-ᲕᲔᲠᲡᲘᲐ“
ᲒᲐᲓᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚ
ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲔᲑᲨᲘ, ᲠᲐᲡᲐᲪ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚ
ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ
ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ (ᲗᲡᲣ-ᲡᲐ
ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚ-
ᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ
ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲝ-
ᲠᲐᲜᲓᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ).